საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 27 დეკემბერი, 2012 წელი.

№249 (7125)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ივანიშვილმა და ალიევმა ენერგორესურსების ექსპორტზეც ისაუბრეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა.

როგორც პრემიერის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, ბიძინა ივანიშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს პირისპირ „ზაგულბას“ სასახლეში შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს. საუბარი ენერგორესურსების ექსპორტის თემასაც შეეხო.

ერთდღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა აზერბაიჯანელ კოლეგა არტურ რასიზადესთან, ვიზიტის დასასრულს კი პრემიერი ქართული და აზერბაიჯანული მედიის კითხვებსაც უპასუხებს.

ბაქოში საქართველოდან 7-კაციანი დელეგაცია გაემგზავრა, რომელშიც, ბიძინა ივანიშვილის გარდა, საგარეო საქმეთა, ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრები — მაია ფანჯიკიძე, კახა კალაძე და გიორგი კვირიკაშვილი, ასევე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კოტე სურგულაძე არიან.

ვერ ივირეშმაკეთ ვირეშმაკა თანსინადეფსიანებო? 2

50 მლნ-დან 1,2 მლნ-მდე გაუფასურებულები 4

თავდაცვის სამინისტრო 19 მილიონი ლარის პრემია - 2 საიდუმლოდ

ბიზნესმენები 6 თუ „ბარიგები?“

არსებობს ნიშნები, რომ აპრილში სააკაშვილი პარლამენტის დასათხოვად ემზადება 3

თავშერცხვენილ ნაციონალთაგან მეორედ მოსვლაზე მუქარიან ოცნებას ასრულება არ უწერია. ხალხს ისევ ურყევად სჯერა, რომ ახალი ხელისუფლება კვლავ ბოლომდე პრინციპული იქნება საქართველოს აღდგენაშიც და წინასაარჩევნო დაპირებათა ხორცშესხმაშიც!..

ხმაურიანი დაჭერები და ახლო აღმოსავლური პოლიტიკა 5

რა (თუ ვინ) დგას საქართველოს ახალი ხელმძღვანელის 8 სიტყვებს უკან?

ნეტავ, სიკვდილო, შენც მოგცა შვილი... 7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოლიტწკიპურტები

ვერ ივირეშმაკეთ ვირეშმაკა თანსინადეფსიანებო?

აუ, რა ჟივჟივი და ალიაძოთი ატეხეს ისევ – ეს ნაღდი პოლიტიკური დევნაა, არანაირი მტკიცებულებები და სამხილები არა აძვთო, ის კი არა, როდესაც პროკურორს ჰკითხეს, უსაფუძვლოდ რატომ ითხოვ ნიკა გვარამიას დაპატიმრებასო, გვიპასუხა, იმიტომ, რომ იგი ინტელექტუალიაო!

ჰი-ჰი-ჰიო, ჰო-ჰო-ჰოო – ირონიულად იგესლებოდნენ **თანსინადეფსიანი (თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანი)**. გოკა გაბაშვილი და ძმანი მისნი. უმთავრესმა მათგანმა – „მაღალმა“ კი ისე „მოსწრებულად“ იხუმრა (მის „ნატიფ“ იუმორზე ცალკე



მოგახსენებთ), ლამის სიცილ-ხითხითით დახოცა ყოფილ თუ ამჟამინდელ გნაცმოძრაობელთა ბოლო „სხადნიაკის“ მონაწილენი – **ამ საზომით თუ მივუდგებით, ამჟამინდელი მთავრობის არც ერთ წევრს დაპატიმრება არ ემუქრებაო,** ანუო რევოლუციამდელი ბავშვივით გონებაჩლუნგები არიანო.

იცოდნენ, განა არ იცოდნენ თანსინადეფსიანებმა, რასაც გულისხმობდა პროკურორი (თუ არ იცოდნენ, რბილად რომ ვთქვათ, მათი პრობლემაა), მაგრამ რისი ვირეშმაკები იყვნენ, პროკურორის ნათქვამი არ გამოეყენებინათ საქმეში ჩაუხედავი ადამიანების (სულაც არ არის გასაკვირი, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცოდეს, თუ რა და როგორი დატვირთვა-განმარტება აქვს იურისპრუდენციაში ამა თუ იმ „ჩვეულებრივ“ სიტყვას) გასაცუცურაკებლად თუ „მეოცნებეთა“ საწინააღმდეგოდ „დასაქოქავად!“

რაკი ჩემი განმარტება ვინმემ, შესაძლოა, არაკვალიფიციურად და ნაკლებად სანდოდ მიიჩნიოს, მოდით, ამის თაობაზე ქვეყნის მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს მოვუსმინოთ, რომლის კომპეტენტურობაშიც, არა მგონია, ვინმეს, თუ ავაზრაკვიატებული არ არის, ეჭვი შეეპაროს, აი, რას ამბობს იგი „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომერში იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელშიც, გამოძიების მონაცემებით, ნიკა გვარამიაც არის ჩართული.

„...ეს ხომ კომერციული თემატიკა არ არის. ასეთ დანაშაულს „თეთრი საყელოს დანაშაული“ ჰქვია და ის ყოველთვის რთული გამოსაძიებელია, რადგან ეს ინტელექტუალური დანაშაულია... დაკავება ემსახურება იმას, რომ დამნაშავე არ დაიმალება, გამოძიებას ხელს არ შეუშლის და მოწმეებზე არ იმოქმედებს. რადგან დაკითხვაზე დავიბარეთ, მათთვის ცნობილი გახდა, რომ გამოძიება მიმდინარეობდა და დავინახეთ, რომ პარალელურ რეჟიმში დაიწყეს რაღაც დოკუმენტების შექმნა. მაგრამ მათ ინფორმაციის მხოლოდ განსაზღვრული დოზა აქვთ. დაკითხვის დროს მე ვსვამ კითხვას და დასაკითხი ვერ მეტყვის, რატომ მეკითხები ამასო, მაგრამ როდესაც პასუხისგებაში ვაძლევ პირს, კანონი მავალდებულებს, მას მთელი საქმე გადავცე, მან უნდა იცოდეს, რაც იქ წერია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ინტელექტუალური დანაშაულის სახეობაა, დაკავებული პირები ინტელექტუალები არიან და რესურსი დიდი აქვთ. გარდა ამისა, აქვს ფინანსური რესურსიც. ეს არის მათი დაკავების მოტივი, რომ მათ შეეზღუდოთ მოქმედების არეალი“.

ხომ გასაგებია, რატომ უთქვამს სასამართლოში პროკურორს ნიკა გვარამიაზე, მისი დაკავება იმად გვინდა, რომ იგი ინტელექტუალიაო?

ამას მოსახლეობის უმრავლესობის გასაგონად ვამბობ და არა ვირეშმაკა თანსინადეფსიანებისა, რომლებიც ამას ვერ კი არა, არ გაიგებენ!

თუმცა ამჯერად მათ ვერ ივირეშმაკეს!

ოროსანი „ხერხემალი?“

„ორს რომ ორი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია? არ დაიბნა ბაჭია, ორი თითი აწია“. ეს საბავშვო ბაღიდან ვიცით, მაგრამ რამდენი იქნება, თუ ორასორმოცდაათ ლარს გავყოფთ თორმეტზე?

რამდენი და, 20.28 ლარიო, იტყვის ელემენტარული არითმეტიკის მცოდნეც კი, რომელმაც შედარებით მარტივი რიცხვების გამრავლება-გაყოფა თუ არა, კალკულატორის გამოყენების წესი მაინც იცის.

მაგრამ აი, „მაღლის“ მიერ თავის დროზე „ქვეყნის ხერხემლად“ მონათლულმა ვანო მერაბიშვილმა კი არ იცის.

ან იცის, მაგრამ, თანამოძმე თანსინადეფსიანელთა დარად, ისიც, უკაცრავი პასუხია და, ვირეშმაკობს, ხალხს თვალში ნაცარს აყრის.

ჩვენო, ნაცმოძრაობელებმაო, არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში ხალხს ათასლარიანი ვაუჩერი დავპირდითო, **ანუო წელიწადში 250 ლარი, რაც თვეში 23 ლარიაო.**

გამარჯვების მერე ნაცმოძრაობა როგორაც ასრულებდა დანაპირებს, ეს რამდენჯერმე უკვე ვნახეთ!

თუნდაც ერთი დანაპირები გვახსოვს ძაღლის ნაკბენივით, როგორ ამბობდა თავის დროზე დაქუცმაცებული საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღმდგენი დავით აღმაშენებლის საფლავზე ორგზის ფიცდადებული ამჟამად ოპოზიციონერი(?!) უმაღლესი მთავარსარდალი, ჯერაც პრეზიდენტი „მაღალი“, – ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში ძვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენო, სინამდვილეში კი რაც დაგვმართა, იმის სიმწარეს დიდხანს ვერ დავივიწყებთ (მარტო ის რად ღირს, რომ მისი წყალობით, მის მიერ ზემო აფხაზეთად მონათლული დალის ხეობაც დავკარგეთ სრულიად უბრძოლველად – ძვეყნის ის პატარა ნაწილი, რომელიც არასდროს არავის, საძართველოს არც ერთ დამპყრობ-დამაძცეველს არ დაუპყრია!).

ასე რომ, ვიცით, „ხერხემალო“, როგორც ასრულებდით დანაპირებს! ამიტომ არც თქვენ გამოგივიდათ ამ რამდენიმე დღისწინანდელი ზემოაღნიშნული „არითმეტიკული ლაფსუსი“, უფრო სწორად, ვირეშმაკობა!

ალვაც კი არის მაღალი, მაგრამ...

ერთი ახლობელი მყავდა, რომელსაც ანეკდოტები კი უყვარდა, მაგრამ მათი მოყოლა არ ეხერხებოდა – სანამ მოგიყვებოდა, თვითონ იგუდებოდა სიცილით. მეორეზე კი ძმაკაცები ქილიკობდნენ – მაგი რომ ვითომ იხუმრებს ან ანეკდოტს მოგიყვება, ვინმე გვერდით უნდა გედგეს იღლიაში შემღუტუნებლადო.

მაგრამ აი, ჩვენმა „მაღალმა“ რომ ხუმრობა იცის, სწორედ ისეთი უნდა ღადაობა.

აი, ახლაც, რამდენიმე დღის წინათაც, დაახლოებით ასე იხალისა „სხადნიაკზე“ – **ზოგიერთ ჩემს ოპონენტს, გარეთაც და შიგნითაც, ჩემი სიმაღლე შურს, მაგრამ ბექზე უნდა შედგნენ, რომ გამიტოლდნენო!**

ღმერთო ჩემო, როგორი დახვეწილი და ნატიფი იუმორია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორი ასევე დახვეწილგემოვნებიანი და ხალასი იუმორის ჯეროვნად დამფასებელი აუდიტორიაც ჰყავდა იმ დღეს „მაღალს“.

დიახ, სწორედაც რომ, დახვეწილგემოვნებიანი, და არა ისეთი უგემოვნო და დაუნახავი ინტრიგანი, როგორიც მე ვარ, რომელმაც „მაღლის“ გამონათქვამების სინატიფე-შეფასებები სათანადოდ ვერ აღვიქვი და ჩვენს გაზეთში წერილიც გამოვაქვეყნე სათაურით – **„ენა შენი, მტერი... ჩვენი“. ვითომ ვსაყვედურობდი, ნუ გადაგვკიდე მეზობლები-მეთქი!**

იმ „სხადნიაკზე“ კი, ჩემგან განსხვავებით, აშკარად დახვეწილი აუდიტორია იყო შეკრებილი, რომელმაც იცის ჭეშმარიტი, ნატიფი იუმორის ფასი და ამიტომაც მიიღო ასე თბილად „მაღლის“ „დახვეწილი“ ხუმრობა, თორემ **პირმოთნეობა არაფერ შუაში იყო, როგორც ეს ზოგმა ავყიამ ჩათვალა!**

ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთმა ისიც კი თქვა, სიმაღლე რა შუაშია, ალვის ხე მაღალი კია, ფოთლებშრიალაც და დინდგელის მომცემიც, მაგრამ მასთან შედარებით ტანდაბალ ძელძვას ვერაფრით შეედრებაო.

ხოლო ისიც იკადრა, – მსოფლიო მასშტაბით გამორჩეულ პოლიტიკოსთაგან, დე გოლის გამოკლებით, თითქმის არავინ ყოფილა მაღალი – არც მაკედონელი, არც ნაპოლეონი, არც ჰიტლერი თუ სტალინი, მაგრამ სამყარო კი შეაზანზარესო. ისიც გვითხრა, – ხომ გახსოვთ, როგორ შეუღრინა ნაპოლეონმა თავისზე ერთი თავით მაღალ სარდალს, – ჩვენს შორის მაგ განსხვავებას უცებ მოვსპობო!

არ ვარგა, ბატონებო, ასეთი შედარებები. ეს ჩვენზე ვერ გავრცელდება, რადგან **ბატონმა ბიძინამ, გეხსომებათ, უთხრა ნაცებს – ისე კი არ მოგეპრყობით, როგორც თქვენ იმსახურებთ, არამედ ისე, როგორც ეს ძართველ ხალხს და მის კულტურას ეკადრებაო!**

ისე, მე თუ მკითხავთ, ტანმაღალ ალვას, პრაგმატული თვალსაზრისით, ძელქვა და ბზაც მირჩევნია.

იმიტომ, რომ ორივე ალვაზე ბევრად მეტი სარგებლის მომტანია!

რუსლან რუსია

◎ პროტესტი

ანტიკიტოვანური მოთხოვნები – მთავარ პროკურორს

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობით 25 დეკემბერს მთავარი პროკურატურის შენობის წინ გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა გააპროტესტეს 1991-1992 წლების შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის თენგიზ კიტოვანის რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლა.

„მრგვალი მაგიდისა“ და წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრმა ეთერ მგალობლიშვილმა, უზენაესი საბჭოს წევრმა ტარიელ ფუტკარაძემ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა ირაკლი შონიამ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები: **1.** მიეცეს საქართველებლივი შეფასება 1991-1992 წლების შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას; **2.** აღიძრას სისხლის სამართლის საქმე პუტჩის ორგანიზატორების, სამხედრო საბჭოს წევრებისა და 1992 წლის 3, 7 იანვრისა და 2 თებერვლის მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების დახვრეტის დამკვეთებისა და შემსრულებლების მიმართ.

ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმა მადლობა გადაუხადა „თავისუფალი საქართველოსა“ და პარტია „თავისუფლება – ზვიადის გზის“ წარმომადგენლებს მიტინგის მოთხოვნების მხარდაჭერისთვის.

ალექსანდრე ავალიანი

◎ ინფორმაცია

თავდაცვის სამინისტრო

19 მილიონი ლარის პრემია - საიდუმლოდ

საძართველოს თავდაცვის სამინიტროში და გაერთიანებულ შტაბში 2009 წლის სექტემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით ფულადი პრემიის სახით 41 მილიონ 164 ათასი ლარია გაცემული, მათ შორის დაახლოებით 19 მილიონი ლარი გაცემულია საიდუმლო ბრძანებით. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე გენერალური ინსპექციის უფროსმა ანდრია გოცირიძემ განაცხადა.

მისი თქმით, პრემიებს იღებდნენ ერთი და იგივე მაღალი თანამდებობის პირები. სამხედრო მოსამსახურეებზე კი სულ ერთხელ გაიცა პრემია, ავღანეთში მყოფმა სამხედროებმა პრემია 2011 წელს აიღეს – საშუალოდ 365 ლარი.

როგორც გოცირიძე ამბობს, აღნიშნულ ფაქტებში საქართველოს გენერალურმა ინსპექციამ ვერ იპოვა სამართალდარღვევის ფაქტები და შესაბამისად ეს არ განეკუთვნება სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად ქმედებას.

ანდრია გოცირიძისვე თქმით, პრემიების საქმე არ ეხება მინისტრებს, რადგან არსებულის ინფორმაციით, არც ერთ მინისტრს საკუთარი თავისთვის პრემია არ გამოუწერია.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

არსებობს ნიშნები, რომ აპრილში საკაშვილი პარლამენტის დასათხოვად ემზადება

***„ნაციონალური მოძრაობის“ პოსტარჩევნებისეული დაპირება, ანუ ხელისუფლებაში დაბრუნება, როგორც ჩანს, ძალას იკრებს. ბოლო რამდენიმე დღეა, ქვეყნის პრეზიდენტი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა, მის გამოსვლებში არც სიძულვილის ენაა უცხო. ასე სააკაშვილი მხოლოდ წინასაარჩევო პერიოდში აქტიურდება. ისიც ითქვა, რომ ასე მტკივნეულად თანაგუნდელების დაკავებაზე რეაგირებს. პირველი ეტაპი – თავდაცვის, შემდეგ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას დაკავება ყოფილი ხელისუფლების წყალობით ახალ მთავრობას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. დასავლეთისგან კრიტიკა, შენიშვნები და მოწოდებები კოჰაბიტაციაზე, საკმაოდ აქტუალური თემა გახდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. დაკავებების ახალმა ეტაპმა „ნაციონალური მოძრაობის“ აღშფოთების ახალი ტალღა

◎ წერილი რედაქციას

თუ მოდიან, დავხვდეთ!

ანუ დრო, როდესაც განსაკუთრებით გვმართებს ერთ მუშტად შეკვრა

ამ რამდენიმე დღის წინათ დუბაიში გაიმართა ქურდული სამყაროს შეკრება – „სხადნიაკი“. 23 დეკემბერს თბილისში დღისით-მზისით გაიმართა რევანშისტულად განწყობილ კაცთმოძულეთა „სხადნიაკი“ პირველი კაცთმოძულის სააკაშვილის მეთაურობით, მგონი კითხვის ნიშანი არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ მთელი ეს „სხადნიაკი“ სასტიკი აგრესიულობით გამოხატავდა თავის რევანშისტულ ზრახვებს – „მოვდივართ!“

ადამიანებო, რა ხდება დღეს საქართველოში, ამ ღვთითკურსხეულ ქვეყანაში? ტოლერანტობითა და კაცთმოყვარეობით ცნობილ მიწაზე ერთი ურჩხულისთვის ვერ მოგვივლია? ეს ნაცისტური მოძრაობა ადრევე უნდა აკრძალულიყო, მან დაანგრია ქვეყანა. ახლა კი სააკაშვილი პირდაპირ საომარი მოქმედებისკენ მოუწოდებს ძალოვან სტრუქტურებს. ჯერ ერთი, სად გაგონილა, რომ ოპოზიციური უმცირესობის ლიდერი ან წევრი იყოს ქვეყნის პრეზიდენტი? მას ეს პოსტი უნდა დაეტოვებინა, როგორც კი უმცირესობაში გადავიდა. ხალხი კი გაჩუმებულია. ნუთუ ჩვენი საზოგადოება იმდენად ცვედანია, რომ ვერ გრძნობს საშიშროებას, სანამ დროა, წინ აღუდგეს კატასტროფას? დიახ, სწორედაც რომ, კატასტროფა გველის ამათ ხელში!

თუმცა ხალხმაც რა ქნას, სად გამოხატოს თავისი განწყობა-წუხილი, ტელევიზიებში მათ არავინ აჭაჭანებს, იქ მხოლოდ ცნობილი ადამიანები არიან წამოჭიმული ყოველდღე. ბეჭდვითი პრესა ხომ სულ ჩაკეტილია საზოგადოებისთვის, გაზეთები „ასავალ-დასავალი“, „რეზონანსი“, „ვერსი“, ადრე „ქრონიკა“ 60-გვერდიანი გამოდიოდა და თითქმის ყოველ ნომერში ხუთი, ექვსი სამოქალაქო წერილი იბეჭდებოდა. ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ცნობილი ფოტოგრაფების საქმის შემდეგ, ფორმატი გაანახევრეს, ფასი კი იგივე დატოვეს – 2 ლარი. შეგრცხვეთ, ბატონებო. ეს ხომ ღალატის ტოლფასია, ამით ხომ კაცთმოძულე სააკაშვილის ბანდის წისქვილზე უშვებთ წყალს!

დღეს, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა, ერთ მუშტად შეკვრა და ნაცისტების საბოლოოდ განეიტრალება.

დიდად გასაკვირია ჩემთვის უაღრესად პატივსაცემი ბატონი თემურ შაშიაშვილის განცხადება თბილისში 550 000 ხმა მოვაგროვეთო, ეს როგორ, ჩუმად ქალაქის ერთ კუთხეში აგროვებდით ამ ხმებს? თუ ეს ემსახურებოდა მხოლოდ ხმების მოგროვებას ხმების მოგროვებისთვის და არა საქმისთვის, მაშინ სად ვიყავი მე და არა მარტო მე? თბილისში სულ ცოტა ერთი მილიონი ხმა მოგროვდებოდა!

სააკაშვილის მოცილებას სჭირდება აბსოლუტურად საქართველოს მოსახლეობის ძალისხმევა, ის ისე არ წავა. საჭიროა ქუჩა, ბეჭდვითი პრესა, ტელევიზია, შესაძლოა მოქალაქის სტილი არ არის ჟურნალისტურად გამართული, მაგრამ ხმა ხომ არის გაჟღერებული და ის ბევრს ნიშნავს. ნაცისტების რისხვით გამოხატული უკმაყოფილება, რომ თურმე მთელი ეს არმია პოლიტპატიმრებისა ყაჩაღები არიან. ხოლო მერაბიშვილები, ადეიშვილები, უგულავები, ახალაიები და სხვა ფრთიანი ანგელოზები გახლავან და „ვიგინდარა“ ბატონი ბიძინა ივანიშვილი მათ აქეთ-იქით დაარბენინებს დაკითხვებზე, ზოგერთს ციხეში სვამს, გინახავთ ასეთი საცოდაობა? – ეს არის ზღვარსგადასული ცინიზმი.

სააკაშვილმა დაიწყო თავისი ფორმულის განხორციელება „მე რომ ოპოზიციაში ვიყო, მთავრობას სამ თვეში გადავაყენებდიო“.

ხალხნო, არ გვინდა ასეთი დასავლეთი, რომელიც ბოროტებას უკმევს გუნდრუკს და საქართველოს უფსკრულში გადაჩეხვას უმზადებს, ან სამართლიანი მხარდაჭერა პროგრესულად მოაზროვნე ევროპისკენ მაცქერალი ქართველი ერისა, ან საერთოდ უარი ვთქვათ დასავლეთზე და ჩვენ თვითონ ვუპატრონოთ ჩვენს თავს. ბოლოს და ბოლოს, სამი ათასი წელია, თავს ვპატრონობთ და ახლა რა ჭირი დაგვემართა! სხვა შემთხვევაში საქართველოს სინგაპურიზაცია გარდაუვალია და მერე ნახეთ თქვენ ჩვენი გოგონების ხასებად გამწესება გადამთიელი ტურისტებისთვის, მამაკაცებისა და – მათი უკანალის გამწმენდებად. აკი ჩვენ, აბორიგენ მოსახლეობას, საკუთრებაში აღარაფერი დაგვრჩა, 20 პროცენტი ჩვენი მიწებისა აგრესორს უკავია, დარჩენილი მიწა, წყალი, ტყე, ცალკე სტრატეგიული ობიექტები ქეშად მიჰყიდა სააკაშვილმა ისევ აგრესორს. გაანადგურა ფიზიკურად ჯიშიანი ქართველი უდანაშაულო ახალგაზრდობა, ჟვანია მოიცილა და პილატესავით ხელი დაიბანა, მეტი რაღა გინდა კიდევ გაგვიკეთოს.

თუმცა, ერთი უნიკალური რამ კი გვჭირს – მსოფლიოში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხელისუფლებაში ერთბაშად ამდენი მოღალატე, ყაჩაღი და კრიმინალი მოგროვებულიყოს, ჰოდა, აქაც გამოვიჩინოთ ჩვენი უნიკალურობა და გავუყენოთ თავის გზას ეს ბანდა.

მახსოვს, 90-იან წლებში, იაპონელები გვიმღეროდნენ „ქართველო ხელი ხმალს უკარ“, ჰოდა სწორედაც ახლაა საჭირო ამის სისრულეში მოყვანა.

ქუდზე კაცი! თორემ საქართველო დაიღუპა, ეს ძეშმარიტებაა!

ქართლოს ზაქარეიშვილი

◎ კითხვები, რომლებიც პასუხებს მოითხოვს

უშიშროების საბჭოს ბიუჯეტთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი გიგა ბოკერიას მოუწოდებს, გაასაჯაროოს თუ რატომ ედო აღნიშნულ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო“.

მისივე განმარტებით, მართალია, თანხებს რატომღაც გრიფი „საიდუმლო“ ედო, თუმცა დიდი საიდუმლოებები მასში არ ჩანდა. ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ სწორედაც ლობისტებზე იხარჯებოდა ეს ფული. შესაბამისად, ყველა მასალა პროკურატურას გადაეცა.

„მძიმე კითხვებია, ბევრი ნაღდი ფულია გატანილი. ეს არ არის მარტო ამ წელიწადს, როგორც ვიცი, ბოლო სამ წელში 50 მილიონზე მეტია გატანილი“, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ყველაზე სასაცილო ისაა, რომ წელსაც ნაციონალებს 30 მილიონის აღება სურდათ. თუმცა, როცა ფინანსთა მინისტრი დაინტერესდა, მაჩვენეთ, რისთვის გინდათ ეს თანხები და მოგცემთო, საბოლოოდ ნაციონალები 1 მილიონ 200 000-ს დასთანხმდნენ, ანუ 20 -ჯერ ნაკლებს.

თავის მხრივ, ეროვნული უშიშროების საბჭო ბიძინა ივანიშვილის ნათქვამს მუქარის კამპანიას უკავშირებს და უწყებისთვის ბიუჯეტის შემცირებას ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანოდ მიიჩნევს.

ბოკერიას უწყება განმარტავს, რომ უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ გასულ წლებში (ისევე, როგორც 2013 წელს) მოთხოვნილი თანხები უკავშირდებოდა აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებას, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობას, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას მთელი მსოფლიოს, მათ შორის, ლათინური ამერიკის ქვეყნების, მასშტაბით და დეოკუპაციისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას, საგარეო-პოლიტიკურ ანალიზს და ამ მიზნებისთვის საკონსულტაციო მომსახურებას... ამდენად, ბოკერიას უწყების განმარტებით, საამწუხაროა, რომ ახალმა მთავრობამ 2012 წლის ბიუჯეტში ეს მიმართულებები ქვეყნისათვის პრიორიტეტულად არ მიიჩნია.

დაიბარებენ თუ არა ბოკერიას პროკურატურაში, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ბეჭდურ მედიაში უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი მიხეილ სააკაშვილს „აუმხედრდა“. კერძოდ, ჩერგოლეიშვილი „ფეისბუქის“ მეშვეობით „ექსპო ჯორჯიაში“ ნაციონალების შეკრებას ეხმაურება, სადაც პრეზიდენტმა მთავარი პროკურორის მოადგილის დავით მჭედლიშვილის კომპეტენციაზე ისაუბრა და ე.წ. „მანქანის ბარიგობის“ თემასაც შეეხო.

„მანქანის „ბარიგობა“ ტეხავს ბ-ნო პრეზიდენტო? სხვა დასაწუნი ახალ ხელისუფლებას არაფერი აქვს? სირცხვილია!.. სასაცილო ის არის, რომ საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი წილი სწორედ მანქანების გაყიდვაზე მოდის... რატომ? მამაჩემი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია, როცა გაგვიჭირდა, მანქანების შეკეთებით გვარჩენდა. დედაჩემი ბოლო ოცი წელი კომუნალური გადასახადების ბილინგის ხელმძღვანელი იყო, ეგეც ფიზიკოსია - როცა გაგვიჭირდა, აქ ჩამოსულ უცხოელებს სახლებს ულაგებდა და ნამცხვრებს უცხობდა. მივიდეს, ვინმე შეეჯიბროს თავთავიანთ საქმეში კომპეტენციის კუთხით!“... – წერს ჩერგოლეიშვილი.

თუმცა თამარ ჩერგოლეიშვილი მაინც ეთანხმება პრეზიდენტს, რომ ივანიშვილის მთავრობა უკიდურესად არაკომპეტენტურია, რაც არც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის იყო უცხო.

უშიშროების საბჭოს ბიუჯეტიდან 50 მილიონზე მეტი თანხის გატანის შესახებ For.ge ლევან ბერძენიშვილსა და ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა.

50 ლარ-დან 1,2 ლარ-მდე გაუფასურებულები

რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი განმარტავს, რომ ნაციონალებს არაფერი არ მისცა ამ ლობისტურმა მომსახურებამ, თუმცა, აქ გასარკვევია ერთი საკითხი – ეს ლობისტური მომსახურება ვის სამსახურში იყო - საქართველოს თუ „ნაციონალური მოძრაობის“? შესაბამისად, თუ ლობისტების დაქირავება ემსახურებოდა საქართველოს, ეს უნდა დაასაბუთოს ბატონმა ბოკერიამ და დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ეს გაკეთდა ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის.

ხოლო, თუ ლობისტების მომსახურება ემსახურებოდა ერთ პარტიას – „ნაციონალურ მოძრაობას“, მაშინ გასაგებია, რომ ეს უბრალოდ უკანონობა იყო. მეტიც, ლევან ბერძენიშვილის აზრით, მილიონს კი არა, ერთ ლარსაც არ გაპატიებს არავინ და თანხების ასე ფლანგვა კრიმინალია.

„ლობისტურმა საქმიანობამ თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ არა მარტო ლობისტურმა საქმიანობამ, არამედ დასავლეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო წარმატებული იყოს. ამიტომ, შეიძლება, ეს ლობისტური ფული ტყუილად გადაიყარა და, თუ რამ სახელი და დიდება გვაქვს მსოფლიოში, ამას ლობისტების გარეშე მივაღწიეთ. ეს არის გამოსაკვლევი საკითხი, რადგან, არა მგონია, რომ ყველგან და ყველაფერში გამოძიება უნდა ჩატარდეს“, – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

მისივე თქმით, როცა ფინანსთა მინისტრმა იკითხა, რაში იხარჯებოდა ეს ფული, ნაციონალებმა არ გაუშიფრეს ე.წ. საიდუმლო ხარჯები და ამის მიზეზად სახელმწიფო საიდუმლოება მოიშველიეს. ამდენად, პარლამენტარი აცხადებს, რომ არავის უნდა უკვირდეს, თუ საკითხის პარლამენტში განხილვისას ვერავინ ვერც ერთ კაპიკს ვერ მიიღებს ბიუჯეტიდან, თუკი თავად პარლამენტარები ვერ გაიგებენ, რაში იხარჯება ეს ფული. ამასთან, დეპუტატი ბოლომდე არც არის დარწმუნებული, რომ სრულიად ნათელია ამ მილიონების ამბავი, რადგან გამორიცხული არ არის, გაცილებით მეტ თანხებს ხარჯავდნენ ნაციონალები და ეს თანხა ლობიზმზე კი არა, უბრალოდ, ქრთამებზე მიდიოდა.

ამდენად, ლევან ბერძენიშვილს ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც ბიძინა ივანიშვილს – ან გიგა ბოკერია საზოგადოებას ღიად ეუბნება, რაში დახარჯა ფული, ან ეუბნება დაინტერესებულ მხარეს, ანუ ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს.

„გაუგებარი აქ არაფერია. ფული აღებული და დახარჯულია. იმედი მაქვს, ბატონმა ბოკერიამ, ეს ფული საკუთარ ჯიბეში არ ჩაიდო და ჟურნალ „ტაბულას“ არ აფინანსებდა. მე არ მაქვს ასეთი ეჭვი. გასაგებია, ეს ფული უცხოეთში რაღაცისთვის იხარჯებოდა, ამიტომ უნდა გვითხრას, რისთვის გაჰქონდათ ეს თანხა“.

აქვე ლევან ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ, თუ ეს მართლაც სახელმწიფო საიდუმლოა, მაშინ ბოკერიამ უთხრას მას, ვისთვისაც ამის განდობა შეიძლება. უფრო მეტიც, არავინ დაიჯერებს, თუ ბოკერია იტყვის, რომ სახელმწიფო საიდუმლო მარტო ნაციონალებმა უნდა იცოდნენ და ახალ ხელისუფლებას ამ სახელმწიფო საიდუმლოს დავუმალავთო. ეს „საიდუმლო“ ნაციონალებს შეუძლიათ, გაანდონ ასევე, პარლამენტში შექმნილ ნდობის ჯგუფსაც, რადგან, ლევან ბერძენიშვილის აზრით, ამხელა ფული სათამაშო არ არის.

„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს იქნება ახალი სკანდალი, არიქა, ბოკერიას იჭერენო. არ ვარ არავის დაჭერის გულშემატკივარი, მაგრამ 50 მილიონის კი არა, 5 ლარის გულისთვის ჰყავთ ხალხი დაჭერილი. ამიტომ, 50 მილიონის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალედ უნდა დაიდოს. თუ ეს ფული იხარჯებოდა უკანონოდ, რაიმე მოძრაობისთვის, მაშინ ეს არის ჩვეულებრივი კრიმინალი და ვწუხვარ, რომ ჩემი ყოფილი მეგობარი შეიძლება იქ აღმოჩნდეს, სადაც მისი მეგობრები არიან.

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე ადასტურებს, რომ ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნისთვის ლობისტებზე ამხელა ფულის ხარჯვა მართლაც ზედმეტი ფუფუნებაა და სიცრუეა, თითქოს ეს ფული ქვეყნის ლობირებისთვის იხარჯება. სინამდვილეში, თანხები ყოფილი ხელისუფლების ლობირებას ემსახურებოდა და დასავლეთში ლობისტის ყოლა მათ სჭირდებოდათ. უბრალოდ, ლობისტების თემის გადაფარვა ქვეყნის სახელით სპეკულირებით ხდებოდა.

ვახტანგ ძაბირაძის აზრით, ამ 50 მილიონის ხარჯვის შედეგიც აშკარაა, რაც საქართველში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებისას დასავლურ მედიასა და ცალკეულ უცხოელ პოლიტიკოსთა გამონათქვამებში გამოიხატება.

რაც შეეხება მეორე მხარეს, როდესაც, თითქოს, უშიშროების საბჭოს ეგიდით გადიოდა ეს ფულები, ეს იმისთვის ხდებოდა, რომ გაემართლებინათ, თითქოსდა, ეს იყო გრიფით საიდუმლო. ამდენად, ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელსაც ესმოდა, რომ უშიშროების საბჭოს ფული გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო, ბუნებრივია, ფიქრობდა, რომ ამ ხარჯებში საეჭვო არაფერი იყო.

„ეს ხომ სპეციალურად გაკეთდა იმისთვის, რომ მოსახლეობას დაუმალონ, რაში იხარჯებოდა ფული. სწორია ბატონი ივანიშვილი. როდესაც ნახეს, რომ ახლა ეს უკვე აღარ გამოვიდა, მათი ხარჯებიც ერთ მილიონამდე ჩამოვიდა. ასე რომ, ზოგადად ამ ქვეყანაში ფული თუ იხარჯება, მართლა ქვეყნის იმიჯზე უნდა იხარჯებოდეს და არა რომელიმე ხელისუფალის ან პარტიის იმიჯის შესაქმნელად“, – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ამასთან, იგი ეჭვობს, რომ ამ თანხებთან დაკავშირებით ბოკერია, ალბათ, საჯაროდ არ გამოვა და პოლემიკაში არ ჩაერთვება, რადგან ეს მისთვის მომგებიანი ვერ იქნება. საერთოდ, ნაციონალების სტრატეგიიდან გამომდინარე, ვახტანგ ძაბირაძეს მიაჩნია, რომ მათ ურჩევნიათ, დაკითხვის შემდეგ ილაპარაკონ საჯაროდ და პროკურატურაში დაბარებებს ისევ და ისევ პოლიტიკური დევნის ელფერი მისცენ.

„ჩემი აზრით, ბოკერია არ გააკეთებს არანაირ განმარტებას და დაელოდება იმას, თუ როდის დაპკითხავენ. მათი არგუმენტი კი იქნება, რომ ეს გრიფით „საიდუმლოა“, „ქართულმა ოცნებამ“ კი თურმე არ იცის, რას ნიშნავს გრიფით საიდუმლო“, – აცხადებს კონსტიტუციონალისტი.

მარიამ ლოლაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხმაურიანი დაჭერები და ახლო აღმოსავლური პოლიტიკა

ხმაურიანი დაჭერების თემა არა მარტო შიდა, არამედ გარე განხილვის თემადაა ქცეული. რაც უფრო იზრდება მათი რაოდენობა, მით უფრო ფართოვდება დასავლელ პოლიტიკოსთა და მედიის ისტერიული განცხადებები საქართველოს ახალი ხელისუფლების მისამართით. არადა, სასაყვედურო მათ არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან ვისაც იჭერენ, ერთ კვირაში ან უფრო ადრე, გირაოს გადახდის შემდეგ, ათავისუფლებენ, თანაც გირაოს თანხა გაცილებით მცირეა, ვიდრე დაჭერილთა მიერ მითვისებული თანხები.

ახალი ხელისუფლების ნოუ-ჰაუ პრეზიდენტსაც უნდა აწყობდეს, მაგრამ კაცია და გუნება. პრეზიდენტი სხვაა, სხვაგვარი აზროვნებით, მეტადრე ჭარბი ავანტიურიზმით, ამიტომაც ის არღვევს მოჩვენებით თანაარსებობას, ანუ ქართველთათვის ახალ სათაყვანო სიტყვა „კოჰაბიტაციას“ – გადადის რა მისთვის ჩვეულ ამპლუაში, მოწინააღმდეგის დაუზოგავ ლანძღვაში.

პრეზიდენტის მხრიდან წინასწარმეტყველებაც გაისმის – მომავალი წლის ბოლოსთვის გამარჯვებული პარტიის ხელისუფლებიდან ჩამოშორება. წინასწარმეტყველება ან ახდება ან – არა, თუმცა, ბევრი რამ წინასწარმეტყველზეცაა დამოკიდებული, ანუ მის მოქმედებაზე, მის საბრძოლო შემართებაზე, მის მუხტზე. პრეზიდენტის მტრული განწყობა მოწინააღმდეგის მიმართ მარტო „ოროსნების“ და „დამანგრევლების“ ძახილში არ გამოიხატება. მისი პროვოკაციული მოქმედებები, როგორც შინ, ისე გარეთ, განსაკუთრებით გარეთ, ძალაშია. ასე რომ, მომავალი წელი ნამდვილად არ იქნება მშვიდი და წყნარი არაპოლიტიკური საქართველოსთვის.

პოლიტიკოსთა ზღვარგადასული ჭიდილი კარგს არაფერს უქადის უამრავი პრობლემით სავსე საქართველოს. გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები ყოველგვარი რიდის გარეშე აცხადებენ – ხელისუფლების აღებიდან 60 დღეში უამრავი რამ გავაკეთეთ და სიკეთეებს მალე დაინახავთო. როგორც ჩანს ახალი ხელისუფლებაც, ძველის მსგავსად, საკუთარი თავის ქების გზას დაადგა. ნაადრევად ხომ არ მოსდის? ძველივით, ახალიც ხომ არ დაიწყებს მტკიცებას – გაკეთებულს ვერ ამჩნევთო?

ერთი რამ, რაც ახალმა გააკეთა – ტელეეკრანებიდან სააკაშვილის ფიზიონომიის ჩამოშორება და მასთან ერთად დუუმორეული ლანძღვა-გინებისგან ტელემაყურებელთა განთავისუფლებაა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ბედნიერება. დაჭერებით გაგულისებულმა პრეზიდენტმა ზედიზედ შეგვახსენა თავი, თანაც – მუქარით. არადა პირველი ოქტომბრის შემდეგ ნაცთა შიშნარევი, თავშეკავებული მოქმედება, თითქოს მარცხისადმი შეგუება, მშვიდი მომავლის საწინდარი უნდა ყოფილიყო, ისეთის, დასავლელები კოჰაბიტაციას რომ უძახიან.

ნათელი და დემოკრატიულია საქართველოში ხელისუფლების გადაცემის პროცესი – გაიძახოდა დასავლეთი და ნაცთა მიმართ პოზიტიურად განწყობილი დასავლური პოლიტიკური ბომონდი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა მათი ჯილის, სააკაშვილის მიმართ.

ცოტა ხანი გასტანა სააკაშვილის დემოკრატიამ, დიდი-დიდი თვენახევარი. და დაიწყო ნაციონალური ბოღმის ამოფრქვევა, ვითარცა გავარვარებული ლავისა, რომელიც წვავს და დაგავს დინების დროს შემხვედრ საგნებს, მათ შორის სააკაშვილის „დემოკრატიასაც“ – ნატოში შესვლის „პერსპექტივით“.

პრეზიდენტის უკულმართმა ლექსიკამ დაგვანახვა, რომ პირველი და ორი ოქტომბრის თავშეკავება, სულაც შემთხვევითი, არაკანონზომიერი რამ იყო. პრეზიდენტის მწარე გამონათქვამებმა ჩვენ კი დაგვანახვა რეალობა, მაგრამ აუხილა თვალი ნაცზე შეყვარებულ დასავლეთს? იქნებ სულაც პირველ ოქტომბერს დამარცხებული დასავლეთია პრეზიდენტის მწარე ლექსიკის, შემდგომში ასევე მწარე ქმედების ინიციატორი? მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

სააკაშვილის ბოლოდროინდელი სატელევიზიო გამოჩენები წინასაარჩევნო მარათონში ჩართვის ნიშანია. წინ ორი არჩევნებია – საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის.

ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი და ნაცები, ვითარების გამუქებისთვის, შანსს არ უშვებენ ხელიდან. ისინი ისე წარმოაჩენენ ახლების ქმედებას, თითქოს სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ. „ასეთი მასშტაბის დაპატიმრებები საქართველოს არ ახსოვსო“, – გაჰყვირის სააკაშვილი. მასშტაბური დაჭერების და, რაც მთავარია, „უკანონოს“ მიმართ ხმას იმაღლებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ მიერ „მშვიდობის ხიდზე“ (როგორც იქნა რაღაც დატვირთვა შეიძინა არქიტექტურულმა „სრულყოფილებამ“) გამართული საპროტესტო აქცია დამაფიქრებელია.

მეხსიერებას არ შემორჩა სააკაშვილის საწინააღმდეგო მსგავსი აქციები, არადა 2004 წელს და შემდეგ წლებში ჩატარებული დაჭერობანა გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე დღევანდელი. არასამთავრობოებს მაშინ სხვა ამოცანები ჰქონდათ – სააკაშვილისთვის მხარის დაჭერა, დასავლური „დემოკრატიის“ ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა, 2003 წლის რევოლუციური „მონაპოვრის“ განმტკიცება.

დღეს მათ სხვა ამოცანები აქვთ – სააკაშვილისა და ნაცების გადარჩენა და აქედან გამომდინარე საკუთარი თავისაც. დასავლეთის, კერძოდ აშშ-ის მიერ დაპურებული არასამთავრობოები სერიოზული ძალაა და რაც მთავარია, მტკიცე იარაღია ამერიკელთა ხელში. სად, როდის, როგორ გამოიყენებს მას სტრატეგიული დამპურებელი და მისი ჯილა სააკაშვილი, არავინ იცის.

ცხრა წლის განმავლობაში არასამთავრობოები სააკაშვილის ხელისუფლების კადრების სამჭედლო იყო – ხელისუფლებასთან შესისხლხორცებული ორგანიზმი. სააკაშვილის მიერ ჩატარებული მართლაცდა უპრეცედენტო დაჭერების უსიტყვო მხარდამჭერები (ზოგიერთთა გამოკლებით), ხშირ შემთხვევაში შემსრულებლები – არაენჯეოელი ივანიშვილის ქმედებას, ერთობ უარყოფითად აღიქვამენ, ისე, როგორც მათი ოკეანისგადაღმელი ბოსები.

მაგრამ იცის ვინმემ, რას ფიქრობს დიდი პარტნიორი. დღეს, ის კიცხავს ივანიშვილს და მხარს უჭერს სააკაშვილს, მაგრამ რას იზამს ხვალ? იქნებ „შარიკი“ გადაუბრუნდეს?

მსგავსი გადაბრუნების შესახებ წერდა ამას წინათ პამელა გელერი „American Thinker“-ში. ავტორი პალესტინასთან დაკავშირებულ გაეროს კენჭისყრას ეხება და მასში ამერიკის პოზიციას. როგორც იცით, კენჭისყრის დროს დიდმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა ახლო აღმოსავლეთში თავის მოკავშირე ისრაელს, თუმცა, ორივენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ოფიციალურად სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა კენჭისყრა „სამწუხაროდ და კონტრპროდუქტიულად“ მონათლა, კულუარულად, ალბათ, დადებითად.

ებრაელ ბიზნესმენ მირელაშვილზე დაყრდნობით, წერილის ავტორი გვამცნობს, რომ კენჭისყრის უარყოფითი შედეგი წინასწარ იყო დაგეგმილი. იყო თუ არა ასე, იოლი ამოსახსნელი არ არის, მაგრამ ობამა-ნეთანიაჰუს რთული ურთიერთობა გვაფიქრებინებს ამას. ობამას არაერთხელ გამოუთქვამს საყვედური ისრაელის პრემიერის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. არც ებრაელები არიან აღფრთოვანებული ბარაკ ჰუსეინ ობამას მოქმედებით, მაგრამ ამერიკელთა ასეთ ღალატს ისინი არ ელოდნენ.

კენჭისყრის წინ აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ხვდება ივანიშვილს, თხოვნით - მხარი დაუჭიროს პალესტინას. აღნიშნულის შესახებ მირელაშვილს ივანიშვილმა უთხრა. მან კი არ დამალა და საჯაროდ ამხილა ობამას ადმინისტრაციის მზაკვრობა. როგორც ჩანს ანალოგიურ თხოვნას ჰქონდა ადგილი ამერიკის ელჩების მხრიდან სხვა ადგილსამყოფელ ქვეყნებშიც. ასეთ ჩახლართულ პოლიტიკას ჟარგონზე „ჩაშვება“ ჰქვია. მირელაშვილმა „ჩაუშვა“ ივანიშვილი, ივანიშვილმა – ობამა. საშური პარტნიორობაა.

აღნიშნული ისტორიიდან ერთი რამ არის ნათელი - ამერიკისთვის სასურველი გეგმის სხვისი ხელით კეთება, თუმცა ამაშიც ახალი არაფერია. გავიხსენოთ ვაშინგტონის პოზიცია კადაფის ლიბიასთან მიმართებაში. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ობამა კადაფის წინააღმდეგ ომში პირდაპირ არ ჩართულა. ის ოსტატურად დირიჟორობდა ნატოს ჯარებს კულისებიდან. თვალი შევავლოთ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომს, მასში ჩართულ ათასი ჯურის ბოევიკებს, „ალ-ქაიდას“ ჩათვლით და ამერიკის ადმინისტრაციის მათდამი დამოკიდებულებას.

ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფების მაკოორდინებელი დასავლეთია. ის არა მარტო იარაღით უზრუნველყოფს მეამბოხეებს, არამედ ინფორმაციითაც - სირიის სახელმწიფო ჯარის გადაადგილებასთან დაკავშირებით. დასავლური პრესის მიხედვით, ბოევიკებისთვის იარაღის გადაცემას აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობს.

ბაშარ ასადის ხელისუფლება სამი მხრიდან განიცდის პოლიტიკურ შეტევას და არა მარტო პოლიტიკურს: დასავლეთიდან, არაბული ქვეყნების ლიგიდან, თურქეთიდან. სამივენი დაბეჯითებით მოითხოვენ ბაშარ ასადის გადადგომას.

ამ ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში სირიაში გარდაუვალია ქაოსი. ალავიტური ხელისუფლების ფიასკო გამოიწვევს სერიოზულ რყევებს. ვინც იერარქიული კიბის ბოლოს იმყოფება, კიბის თავში აღმოჩნდება. "დე ალავიტიზაცია" გაანადგურებს 1960 წლის შემდეგ ჩამოყალიბებულ სისტემას, რისთვისაც იღვწიან სირიის ხელისუფლების მოწინააღმდეგეები. მათთვის არა მარტო ასადის მოშორებაა მთავარი, მთავარია სისტემის განადგურება.

მაინც რატომ არ აწყობთ ასადი? ძნელია მას სისხლიანი დიქტატორობა დასწამო. ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოცხადებული ომი ირანთან განსაკუთრებული ურთიერთობის გამოა. სირია, ირანის დიდი ხნის პარტნიორია, ირანი კი დასავლეთში ასოცირდება ბირთვულ პროგრამასთან, ურანის გამდიდრებასთან.

დასავლეთი აცხადებს, რომ ირანი ყველაფერს ლონობს ბირთვული ბომბის დამზადების პირობების შესაქმნელად, მაგრამ პირობების შექმნა არ ნიშნავს იარაღის დამზადებას. ძნელად წარმოსადგენია, რომ, თუნდაც ბირთვულბომბიანმა ირანმა, ეს იარაღი ისრაელის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს, ვინაიდან ირანელებმა იციან, რა წუთსაც ისინი ბომბს მიამგრებენ რაკეტას, ისრაელი განახორციელებს პრევენციულ დარტყმას.

უფრო პრაგმატული იქნება ის ვარაუდი, რომ ირანს სურს ბირთვული იარაღის დამზადების ზღურბლამდე მისვლა, იმისთვის, რომ ყველას დაანახოს – მას შეუძლია ხუთ წუთში ბომბის დამზადება. ნუ გადაადგმევინებთ ირანს ასეთ ნაბიჯს.

თუ ირანს მართლაც მსგავსი გეგმა ამოძრავებს, სულაც არ არის დასაძრახი, ვინაიდან შიში ამოძრავებს მას, ამერიკელთა შიში.

ბირთვული იარაღის დამზადების ზღურბლამდე შეჩერებას ვერაფრით დაიჯერებს ისრაელი. ცხადია ისიც, ბირთვული იარაღის შექმნის შიშით, ურანის 20%-ზე მეტის გამდიდრების შემთხვევაში, დაჰკრავს ირანს. ომში ამერიკაც ჩაერთვება, რასაც უდავოდ მოჰყვება ცივილიზაციათა ომი.

შედეგი, კაცობრიობისთვის უმძიმესი იქნება. და ეს რომ არ მოხდეს, აშშ, დასავლეთი, ეკონომიკურ სანქციებს მიმართავენ, რათა ხელი ააღებინონ ირანს ურანის გამდიდრებაზე. გარდა ამისა, იყენებენ ფსიქოლოგიურ იარაღსაც, რაც გამოიხატება მედიაში ირანზე მოსალოდნელი თავდასხმის სისტემატიურ გამოქვეყნებაში. ჩემის აზრით, შორიდან მოვლას, უმჯობესი იქნებოდა ამერიკა ირანის პირდაპირი დიალოგი, რაც გამოითქვა, მაგრამ არ შესრულდა ობამას მიერ.

ჯერჯერობით ირანი შორს არის წითელი ზოლიდან, ამდენად მასზე თავდასხმას არ უნდა ველოდეთ. რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს – გაგრძელდება, გარდა ამისა გაგრძელდება ირანისთვის გეოპოლიტიკური მოკავშირეების ჩამოშორების მცდელობა. ასეთი მოკავშირეებით ირანი განებივრებული არ არის, მაგრამ, რაც არის – სირიის სახით, მნიშვნელოვანია.

მავანი იკითხავს, შიიტური ერაყიც ხომ მჭიდრო ურთიერთობაშია თეირანთან? ირან-ერაყს შორის მართლაც პრაგმატული კავშირებია, მაგრამ ერაყელი მმართველები მაინც არ იწვევენ ირანელებში ნდობას. მართლაც ძნელია ენდო ხელისუფლებას, რომელიც აშშ-თან თანამშრომლობს. ერთადერთი ნამდვილი მოკავშირე – სირიაა, ბაშარ ასადის სირია. ბევრი თვლის: ეს იმიტომ, რომ სირიის ხელისუფლება ალავიტურია, ალავიტები კი – შიიტებია.

ორთოდოქსი შიიტები ალავიტებს არ თვლიან შიიტებად, მაგრამ როდესაც სირია, ირანის მოკავშირე გახდა, აიათოლა ხომეინიმ მიანიშნა, რომ ალავიტები შიიტებად შეიძლება ჩაითვალონ. რელიგია მთავარი არ არის, მთავარია იდეოლოგია – ანტიამერიკანიზმი, ანტისიონიზმი, პალესტინელთათვის მხარის დაჭერა და სხვა.

შეიქმნა ირან-სირიის ღერძი, რომლის მეშვეობით ირანი იარაღით ამარაგებს პალესტინის „ჰამასს“ და ლიბანის „ჰესბოლას“. ეს ორგანიზაციები ისრაელის მტრებია და აქედან გამომდინარე ამერიკისაც. ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორებით გაწყდება კავშირები ირანსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის.

ვინ მოვა ბაშარ ასადის შემდეგ? როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს სხვა არაბულ ქვეყნებში – „ძმები მუსლიმანები“. სწორედ ეს იწვევს ისრაელის გაორებულ პოლიტიკას სირიის ხელისუფლების მიმართ. ისრაელს ნაცნობი ეშმაკი ურჩევნია, უცნობს. ბაშარ ასადი ისრაელისთვის ნაცნობია, „ძმები მუსლიმანები“ – უცნობი. ათეული წლებია სირია-ისრაელის საზღვარზე არ ისმის სროლის ხმა. სუნიტების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული მათი მხრიდან ისრაელის წინააღმდეგ პატრიოტული ომის წამოწყება გოლანის მაღლობების დასაბრუნებლად.

სირიის ხელისუფლების დამხობა და ირანის იზოლაცია აწყობს არაბთა ლიგას, უფრო ზუსტად ლიგის გავლენიან წევრებს – საუდის არაბეთსა და ყატარს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპარსეთის ყურის სუნიტი სახელმწიფოების და შიიტური ირანის დაპირისპირებასთან. და აქაც გარდა მრავალსაუკუნოვანი რელიგიური შუღლისა – გამოკვეთილია პოლიტიკური დაპირისპირებაც.

ახლო აღმოსავლეთის მონარქიებს კარგად ახსოვთ ხომეინის მოწოდება რეგიონის „უსინდისო მმართველთა“ დასამხობად. ხომეინის ხაზი არასოდეს გაუსვამს ირანის რევოლუციის შიიტური ხასიათისთვის. ის ყოველთვის აცხადებდა ამ რევოლციის საერთო ისლამურ ხასიათზე.

„ხომეინიზმის“ აღორძინებას ხელი შეუწყვეს ირანის სულიერმა ლიდერმა ჰამენეიმ და პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა. სწორედ მათ ააღორძინეს მსოფლიო მუსლიმანური სულისკვეთება, მათ შორის არაბული. აჰმადინეჟადის ხმაურიანი განცხადებები – ისრაელის მსოფლიო რუქიდან წაშლის თაობაზე და ჰოლოკოსტის აბსურდულობაზე – მიმართული იყო არაბული ქვეყნების გამოღვიძებისათვის, იქ ირანის ლიდერობისათვის.

აჰმადინეჟადმა შეძლო ირანი გადაექცია რევოლუციური არაბული აღმოსავლეთის ავანგარდად. იმავდროულად აჰმადინეჟადის პროგრამამ გადააქცია საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის საამიროები, მათთან ერთად იორდანია, ირანის მტრად. სიტყვით, თითქოს ყველა ისინი ებრძვიან ისრაელს და მხარს უჭერენ პალესტინას, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. მათ არ ეშინიათ ისრაელის. **ვისიც მათ ეშინიათ – უპირველესად ირანი და მისი „რევოლუციური ბაცილაა“. აქედან გამომდინარე, მათთვის მთავარია სირიის პრეზიდენტის ჩამოშორება, ირანი იზოლაციისთვის.**

რაც შეეხება თურქეთს – მას ერდოღანამდე არავინ განიხილავდა ისლამურად. ისლამური სამყარო მას ევროპულად მიიჩნევდა. ერდოღანის თურქეთმა მტკიცე ნაბიჯები გადადგა ახლო აღმოსავლეთის ლიდერობისკენ. მან მხარი დაუჭირა პალესტინას – გააუარესა რა ურთიერთობა ერთ დროს ახლო მდგომ ისრაელთან.

თურქეთს სურს რეგიონის ლიდერობა, რისთვისაც ის მზად არის ირანს ლიდერის დროშა ჩამოართვას, ამასთანავე, „არაბული წინააღმდეგობის“ მებაირაღეობაც. ამ შემთხვევაში თურქეთის მთავარი ამოცანაა სირიის საკუთარ ბანაკში გადმობირება და ირანთან მისი კავშირების გაწყვეტა. გეგმის განხორციელება ბაშარ ასადის ჩამოგდებით გახდება შესაძლებელი. სწორედ ამით არის გამოწვეული თურქეთის მტრული პოზიცია ერთ დროს მეგობარ სირიასთან. სუნიტ თურქებს მიაჩნიათ, რომ რევოლუციის შედეგად სირიის ხელისუფლებაში მისულ სუნიტებთან მათ არ გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა.

ახლო აღმოსავლური პოლიტიკური მოზაიკა აშკარა მანიშნებელია იმისა, რაოდენ დიდი დაფიქრება გვმართებს, რომ ძალაუნებურად, უცოდინარობით თავი არ გავყოთ ყულფში, საიდანაც გამოძრომა გაჭირდება. ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არც სტრატეგიული პარტნიორი და არც გაერთიანებული ევროპა თავს არ გადადებს ჩვენთვის, რისი მოწმენიც 2008 წელს გავხდით. მხოლოდ გაწონასწორებულ პოლიტიკას ძალუძს ჩვენი ხსნა და, რაც მთავარია, საკუთარ ძალებზე დაყრდნობას. ყოველივე ეს კი შესაძლებელია საქმის ცოდნით და პროფესიონალიზმით, მაგრამ ვართ კი ასეთნი?

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემიური პრემიების ახალი ლაურეატები

ხუთი მელიქიშვილიანტი და ერთი სამგზის მელიქიშვილიანტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული (და ოდენობითაც გამორჩეული – 5000-ლარიანი) ჯილდო, პეტრე მელიქიშვილის სახელობის 2012 წლის პრემია მიენიჭა ექვსმკლევრიან ჯგუფს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების წარმომადგენლები, აკადემიის წევრი, პროფესორი შოთა სამსონია, პროფესორები იოსებ ჩიკვაიძე და მარინე ტრაპაიძე; თსუ-ის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნანა ჩიკვაიძე (თარგამაძე), დალი ყაჯრიშვილი და დავით ზურაბიშვილი. ჯილდო მათ დაიმსახურეს შრომათა ციკლისათვის „აზოტშემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი არომატული ჰეტერციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი“.

ციკლი მოიცავს 34 მეცნიერულ პუბლიკაციას (შემდგარს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ), რომლებშიც შევიდა ქიმიური პროფილის ხსენებულ დაწესებულებებში 2007-2011 წლებში გაწეული კვლევის შედეგები. ყველა გამოკვლევა კონცენტრირებული იყო ერთი იდეის გარშემო, რომელიც ეყრდნობოდა ბუნებაში ინდოლშემცველი ნაერთების უნიკალურ როლს, სახელდობრ, ცოცხალ ორგანიზმში იონიზაციის უნარის არქონას, რაიც განაპირობებს იმისი წარმოებულების ფართო გამოყენებას სამედიცინო მიზნებისათვის. მიღებული ერთობ საყურადღებო მონაცემები განეკუთვნება როგორც ფუნდამენტური კვლევის, ასევე პრაქტიკული ხასიათის აქტუალურ სამეცნიერო პრობლემათა რიცხვს. სინთეზირებულ ნივთიერებათა სტრუქტურა დადგენილია კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით – ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპია თუ მაღალი გარჩევადობის მასსპექტრომეტრია...

ვესაუბრებით ამ შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელს, გამოჩენილ ქართველ ქიმიკოსს შოთა სამსონიას.

– ბატონო შოთა, ქართულ მეცნიერებაში პეტრე მელიქიშვილი, რომლის პრემიის ლაურეატებიც თქვენ და თქვენი ღირსეული თანამშრომლები გახდით, ერთ-ერთი ლეგენდარული სახელია... თქვენ რას ეტყოდით მკითხველს ამ სახელთან დაკავშირებით?

– 1918 წელს, როცა თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი დადგა, ამ საშვილიშვილო საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძალიან ცნობილი ქიმიკოსის, რუსეთის (შემდგომ, საბჭოთა კავშირის) მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პეტრე მელიქიშვილის ავტორიტეტმა. ის დაინიშნა კიდევაც პირველ რექტორად დიდი ივანე ჯავახიშვილის რეკომენდებით. მელიქიშვილის მეცნიერულმა შრომებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სახელგანსმენილი მენდელეევის პერიოდული სისტემის დამკვიდრებაში.

– წლევანდელ ლაურეატებს შორის თქვენი ქიმიკოსთა ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. გვიამბეთ, თუ შეიძლება, თქვენს თანალაურეატებზე, ერთობლივი კვლევის სპეციფიკაზე...

– ზურაბიშვილის გარდა, ყველა ჩემი ყოფილი მოწაფეა. ტრაპაიძემაც და ჩიკვაიძემაც მეცნიერული „კიბის“ ორივე საფეხური, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვით, ჩემთან გაიარეს... ერთობლივ მუშაობას რაც შეეხება, ქიმიაში კვლევის კოლექტიური ტიპიური მოვლენაა და ამ დარგში არაკოლექტიური შრომა მე ვერც წარმომიდგენია. ხელმძღვანელისგან მოდის რაღაც იდეა, რომელიც ორგვარად მოწმდება და რეალიზდება – თეორიულად და ექსპერიმენტულად. ჩვენ სისტემატური კონტაქტები გვაქვს.

– მე როგორც ვიცი, მელიქიშვილის სახელთან თქვენი თანახება პირველი როდია...

– დიახ, ეს სახელი ჩემთვის გამორჩევით ძვირფასია და ჩემი ბიოგრაფიის ორგანული თანამგზავრია: უნივერსიტეტში, ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტობისას, პეტრე მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიანტი გახლდით; მერე, უკვე მკვლევრის რანგში, იმისივე სახელობის საუნივერსიტეტო პრემია დავიმსახურე, ახლა კიდევ აგერ – საакადემიო. გარდა ამისა, ვარ პეტრეს მიერ დაარსებული კათედრის გამგე და ვზივარ პეტრესეულ მაგიდასთან... სხვათა შორის, უნივერსიტეტში გვაქვს მელიქიშვილის კაბინეტი-მუზეუმი, რუსეთთან ჩამოტანილი იმის წიგნებით, ბინიდან მოტანილი ნივთებით. პეტრეს სიკვდილშემდგომი ნიღაბი, სამუშაო ხალათი და ქუდი უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება...

– თქვენს ოჯახურ „ქიმიურ“ ტრადიციებზეც მსმენია...

– მართლაც ქიმიკოსთა ოჯახიდან ვარ და ქიმიკოსთა ოჯახი მყავს... მამა, ავთანდილ სამსონია, თბილისის უნივერსიტეტში ანალიზური ქიმიის კათედრის დოცენტი გახლდათ. ნაფრონტალი მერე რუსეთში, დოქტორანტურაში მიავლინეს და იქ ლაბორატორიაში მუშაობისას უეცრად გარდაიცვალა... დედა, ელენე ცქიტიშვილი, ფიზიკური ქიმიის კათედრის ასისტენტი იყო, სანამ ოჯახზე და დიასახლისობაზე გადაერთობოდა... ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატები არიან შვილები, ნინო, ავთანდილი, რძალი ქეთი ქვარიანი. აი, გახდება თუ არა ქიმიკოსი შვილიშვილი შოთა სამსონია – ვერ გეტყვით, ჯერ წლისა და ორი თვისაა...

– სახელგვარი კი უბიძგებს მაგ პროფესიისკენ... ღმერთმა მშვიდობით გაგიზარდოთ და უკეთესი საქართველო დაახვედროს... ბოლო შეკითხვა – თქვენი საყვარელი პროფესიის მიღმა რა გიტაცებთ?

– სკოლის შემდეგ არჩევანის წინაშე ვიდექი – ქორეოგრაფია თუ ქიმია? მე ხომ პიონერთა სასახლეში რომან ჭოხონელიძის წრეში ვიყავი ჩაბმული და კარგ მოცეკვავედაც ვითვლებოდი. იმ წრეს თვით ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი კურატორობდნენ... თევზაობამ იცის ძალიან გატაცება... ცეკვის სიყვარულიც შემომრჩა და თევზაობისაც...

თამაზ ეგანოიძე

◎ ვინ როგორ ხედავს

ბიზნესმენები თუ „ბარიგები?“

ძართული საზოგადოება, ბოლო დღეებია, ქვეყნის პირველი პირის გამოსვლებს, ძველი ტრადიციისამებრ, პირდაპირ ეთერში, მონოლოგის სახით ისმენს. არჩევნების შემდეგ ხანმოკლე დროით მიყუჩებული პრეზიდენტი სააკაშვილი პუბლიკის წინაშე ჩვეული შემართებით წარსდგა. საქართველო უკვე 9 წელია, მიეჩვია სახელმწიფოს ექსცენტრული მეთაურის სპეციფიკურ გამონათქვამებს, თუმცა, ახლა, დეკლარირებული კოჰაბიტაციის პირობებში, ამ გამოსვლებმა და რიტორიკამ სულ სხვა ელფერი შეიძინა.

ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავიდოდეთ, უვერტურის სახით, ახლო წარსულს გადავხედოთ: ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო სექსი, სახელმწიფოს მართავდა პროლეტარიატი, ხოლო დიდი ბელადი ლენინი სამარადისოდ ცოცხალი იყო ჩვენს გულებში – მსგავსი მითები მსოფლიოს ყველაზე დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმა მოქალაქემ ზეპირად იცოდა, თუმცა, ეს მაშინ, როცა პლანეტის პოლიტიკური რუკა ორ, მკვეთრად პოლარიზებულ იდეოლოგიურ ბანაკად იყოფოდა.

საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ ასევე კარგად იცოდა, რომ სადღაც შორს, მაღალი, გადაულახავი კედლის მიღმა, სულ სხვა სამყაროში, „კაციჭამია“ კაპიტალისტ-იმპერიალისტები ცხოვრობდნენ, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ მშრომელ მასებს. ვინც ხსენებულ ეპოქას კარგად იცნობს, ანდაც სულაც თავად არის პირველწყარო მაშინდელი მოვლენებისა, ალბათ გაახსენდება, თუ როგორ გამოსახავდნენ საბჭოელი კომუნისტები, სხვადასხვა გაზეთებსა და წიგნებში, დასავლელი „ბურჟუას“ შარჟს: ეს იყო ფეხი ფეხზე გადადებული მსუქანი მამაკაცი, გაბღენძილი, თვითკმაყოფილი ფიზიონომიით და მიზანთროპული გამოხედვით.

საბჭოთა სახელმწიფო მედგრად ებრძოდა კაპიტალიზმის გამოვლინებებს სოციალისტურ სამოთხეში, ჩანასახშივე კლავდა „პირად ინიციატივას“, ყოველი რეციდივი კი, საკუთარი წარმოების შექმნისა, კლასობრივი ბრძოლის დიადი იდეალების სახელით, სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის მომენტალური მსხვერპლი ხდებოდა. ამ პროცესში წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: სპეკულიანტი, ბარიგა, ვაჭარი, რომლის უარყოფითი კონტექსტიც მთლიანად იდეოლოგიზირებული იყო და ლამის მთელ სოციალისტურ-კომუნისტურ სტერეოტიპებს იტევდა. საბჭოთა კავშირში ვაჭრობა, ბიზნესი სირცხვილი იყო, მეტიც, ის ადამიანის მორალს და ზნეობას, მთელი თავისი ყოვლისმომცველობით, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ უკვე დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, საქართველომ კი საბჭოთა გადმონაშთებთან ბრძოლის კეთილშობილური და აგრესიული ლოზუნგებით გაჯერებული „მენტალური რევოლუციის“ 9 წელი გადაიტანა, როგორც ჩანს, ეს მსოფლმხედველობა ქართველებისთვის მთლად დაძლეული ვერ აღმოჩნდა. მეტიც, დღეს ამის დემონსტრირირების მოწმეები, ქვეყნის ყველაზე მაღალი და სსრკ-ის გადმონაშთებთან ყველაზე აგრესიულად მებრძოლი ტრიბუნიდან ვხდებით.

ზემოთ პრეზიდენტის გამოსვლები ვახსენეთ. ამ გამოსვლებში, პირველი პირის რიტორიკაში რამდენიმე ისეთმა ეპიზოდმა გაიჟღერა, რამაც საზოგადოებაში მღელვარება გამოიწვია, თუმცა, ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ერთ გამონათქვამს მივაქცევთ ყურადღებას: პრეზიდენტმა ბოლო ორ გასახით, ახლო წარსულს გადავხედოთ: ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო სექსი, სახელმწიფოს მართავდა პროლეტარიატი, ხოლო დიდი ბელადი ლენინი სამარადისოდ ცოცხალი იყო ჩვენს გულებში – მსგავსი მითები მსოფლიოს ყველაზე დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმა მოქალაქემ ზეპირად იცოდა, თუმცა, ეს მაშინ, როცა პლანეტის პოლიტიკური რუკა ორ, მკვეთრად პოლარიზებულ იდეოლოგიურ ბანაკად იყოფოდა.

საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ ასევე კარგად იცოდა, რომ სადღაც შორს, მაღალი, გადაულახავი კედლის მიღმა, სულ სხვა სამყაროში, „კაციჭამია“ კაპიტალისტ-იმპერიალისტები ცხოვრობდნენ, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ მშრომელ მასებს. ვინც ხსენებულ ეპოქას კარგად იცნობს, ანდაც სულაც თავად არის პირველწყარო მაშინდელი მოვლენებისა, ალბათ გაახსენდება, თუ როგორ გამოსახავდნენ საბჭოელი კომუნისტები, სხვადასხვა გაზეთებსა და წიგნებში, დასავლელი „ბურჟუას“ შარჟს: ეს იყო ფეხი ფეხზე გადადებული მსუქანი მამაკაცი, გაბღენძილი, თვითკმაყოფილი ფიზიონომიით და მიზანთროპული გამოხედვით.

საბჭოთა სახელმწიფო მედგრად ებრძოდა კაპიტალიზმის გამოვლინებებს სოციალისტურ სამოთხეში, ჩანასახშივე კლავდა „პირად ინიციატივას“, ყოველი რეციდივი კი, საკუთარი წარმოების შექმნისა, კლასობრივი ბრძოლის დიადი იდეალების სახელით, სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის მომენტალური მსხვერპლი ხდებოდა. ამ პროცესში წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: სპეკულიანტი, ბარიგა, ვაჭარი, რომლის უარყოფითი კონტექსტიც მთლიანად იდეოლოგიზირებული იყო და ლამის მთელ სოციალისტურ-კომუნისტურ სტერეოტიპებს იტევდა. საბჭოთა კავშირში ვაჭრობა, ბიზნესი სირცხვილი იყო, მეტიც, ის ადამიანის მორალს და ზნეობას, მთელი თავისი ყოვლისმომცველობით, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ უკვე დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, საქართველომ კი საბჭოთა გადმონაშთებთან ბრძოლის კეთილშობილური და აგრესიული ლოზუნგებით გაჯერებული „მენტალური რევოლუციის“ 9 წელი გადაიტანა, როგორც ჩანს, ეს მსოფლმხედველობა ქართველებისთვის მთლად დაძლეული ვერ აღმოჩნდა. მეტიც, დღეს ამის დემონსტრირირების მოწმეები, ქვეყნის ყველაზე მაღალი და სსრკ-ის გადმონაშთებთან ყველაზე აგრესიულად მებრძოლი ტრიბუნიდან ვხდებით.

ზემოთ პრეზიდენტის გამოსვლები ვახსენეთ. ამ გამოსვლებში, პირველი პირის რიტორიკაში რამდენიმე ისეთმა ეპიზოდმა გაიჟღერა, რამაც საზოგადოებაში მღელვარება გამოიწვია, თუმცა, ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ერთ გამონათქვამს მივაქცევთ ყურადღებას: პრეზიდენტმა ბოლო ორ გასვლაში, სხვადასხვა სიტუაციასთან დაკავშირებით, თუმცა, ფაქტობრივად, ერთ კონტექსტში ახსენა ტერმინი „ბარიგა“. სააკაშვილის გუშინდელ საჯარო სიტყვაში კი, კერძოდ, ასეთმა ფრაზამ გაიჟღერა: „**პროკურატურის ახლანდელი მთავარი სახე, რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობს, მანქანების ბარიგა იყო გერმანიიდან“. უფრო ადრე კი, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება დაიპყრო ხალხმა, რომლებიც „მხოლოდ დოლარის ნიშნულს ცნობენ“.**

მსგავსი რიტორიკა, ალბათ, არავის გაუკვირდებოდა, მაგალითად, 60-70-იან წლებში, რომელიმე ახალგაზრდა კომკავშირელი ლიდერისაგან, მაგრამ ლიბერალური კაპიტალიზმის მაშენებელი სახელმწიფოს პირველი პირისაგან, ადამიანის დაძრახვა ვაჭრობისათვის, შრომისათვის, საოცარი ნონსენსია, რომელიც ვერანაირ ლოგიკაში ვერ ჯდება.

საბჭოთა კავშირის მომსწრეთაგან გაიგონებთ: მუშაობა, თანამდებობის პირების განებივრებული ვაჟიშვილებისათვის, სირცხვილად ითვლებოდა და ხშირად ისინი დემონსტრირებას ახდენდნენ, რომ არ მუშაობდნენ, რადგან მდიდარი მამები ჰყავდათ და ამის საჭიროება არ ჰქონდათ. ასეთი მენტალიტეტის საბჭოელებისათვის, სსრკ-ის დანგრევის მერე დიდი შოკი იყო „კაციჭამია“ დასავლეთის ცნობიერებასთან შეჯახება, ე.წ. ამერიკული ოცნება, როცა ყველა, მდიდარი და ღარიბი მუშაობს, სადაც ვაჭრობა, ინიციატივა, წარმოება, დილერობა, ყიდვა-გაყიდვა, კაპიტალის საკუთარი შრომით შექმნა-დაგროვება აყვავებული სისტემის ნიშანია და ამ სისტემაში ინდივიდები ამგვარად ქმნიან საკუთარ მომავალს, სადაც წარმატებულად ითვლება ადამიანი, ვინც სწორედაც რომ დოლარის ნიშნულს კარგად ცნობს და კარგადვე ფლობს მისი მართვის, დაგეგმვის, გადანაწილების, დაგროვების სტრატეგიებს.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს მავანს დღემდე ვერ გაუცნობიერებია და ყიდვა-გაყიდვა, სამარცხვინო საქმედ, „ბარიგობად“ მიაჩნია, ძველი საბჭოთა იდეოლოგიზებული ჩინოვნიკების მსგავსად, რომლებიც ფულს არა შრომით, არამედ სახელმწიფოს ბიუჯეტის ძარცვით შოულობდნენ, რადგან ეს სახელმწიფო „მეწველი ძროხა“ ეგონათ.

პრეზიდენტის ამ გამონათქვამმა იმდენად გააკვირვა პუბლიკა, რომ თვით ერთ-ერთი ნაციონალი მაღალჩინოსნის ჟურნალისტმა მეუღლემაც კი ვერ დაფარა აღშფოთება და სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის მესიჯი გაავრცელა: **„მანქანის „ბარიგობა“ ტეხავს ბატონო პრეზიდენტო?“.**

ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, თუ შესაბამის მონაცემებს გადავხედავთ, საქართველოს ექსპორტის დიდი წილი სწორედ მანქანების გაყიდვაზე მოდის. გამოდის, რომ ამ სეგმენტში მომუშავე ადამიანები, და არა მხოლოდ ისინი, არამედ ვაჭრობის სფეროში დასაქმებული ყველა პირი, ვინც ყიდულობს და ყიდის, ანუ არის თავისუფალი ბიზნესის წარმომადგენელი, პრეზიდენტის ხედვით, კორუფციონერი და სამარცხვინო საქმის მიმდევარი, ბიზნესმენი კი არა, „ბარიგაა“. სააკაშვილის ლოგიკას თუ მივყვებით, ყველანაირი ბიზნესი, ეს იქნება მანქანებით ვაჭრობა თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტის მოყვანა და მისი გაყიდვა, სამარცხვინოა. ამავე ლოგიკით კი გამოდის, რომ მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრებული პერსონები ითვლებიან წარმატებულებად.

ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში, პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა თავისი წარსული გაიხსენა და განაცხადა, დამლაგებლად ვმუშაობდი და საპირფარეშოც კი დამილაგებიაო. რომც არ იყოს ეს სიმართლე, ყველამ იცის, თუ ფსიქოლოგიურად რამხელა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის ასეთ ისტორიებს, იმას, რომ წარმატებული ადამიანი სხვებს არ უყურებს ზემოდან და საზოგადოება ხედავს კაცს, რომელმაც ამ წარმატებას შრომით მიაღწია და არა მემკვიდრეობით მიღებული ქონებით, ან იგივე ბიუჯეტის ძარცვით. თუმცა, თუ იმას გავითვალიწინებთ, თუ როგორ ეჭვიანობს ქვეყნის ერთი უმაღლესი პირი მეორეზე, შეიძლება ეს გამონათქვამებიც აღარ გაგვიკვირდეს, ანუ, როგორც სადღაც იხუმრეს, ყოფილ ხელისუფლებას ისეთი ფობია დაეწყო, რომ ბიზნესის „ბარიგობად“ გამოცხადება კი არა, შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, საქართველოში ფულსაც კი გააუქმებდაო.

ლელა კედელაშვილი,
ХО-ЭОВ-ЭЕО

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნეტავ, სიკვდილო, შენც მოგცა შვილი...

© გმირთა საუფლოში

ბრძოლით გაიარა მდინარე ფრონეს ხეობა მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა... მეოთხე ბრიგადა მეწინავეა და პირველ დარტყმას ის იღებს საკუთარ თავზე. გააფთრებულ ცეცხლის რკალში პირველნი შედიან ბიჭები. თითოეულის პასუხისმგებლობა სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია უკვე: მათ როგორც ბარომეტრს, ისე შეჰყურებს უკანა ხაზი. თუ მეწინავე გაარღვევს და უკუაქცევს მტერს, ათმაგი გახელებით მიჰყვებიან შემდეგ დანარჩენები. აქ უკვე თავისთვის აღარავის სცალია: ცხოვრებამ სიკვდილის პირისპირ დააყენა ჯერაც ტუჩებზე რძეშეუმშრალი თაობა. ახლა მათთან მხოლოდ ღმერთია და ბედისწერა... უკვე ხელის ერთ გაწვდენაზეა უკვდავება მოკვდავთათვის.

არადა, ძალიან ახალგაზრდები არიან, სიცოცხლით გაუმაძღარნი. წარმოსადეგი, სიმპათიური ვახტანგ გზირიშვილი 42-ე ბატალიონის მეტყვიამფრქვევია. მეთაურისაგან მიღებულ დავალებებს პირნათლად ასრულებს. გაანადგურა მტრის არაერთი საცეცხლე წერტილი. ვახტანგის და მისი თანამებრძოლების თავგანწირვის და დაუღალავი ბრძოლის შედეგად ხეთაგუროვოდან ჯერ ტბეთის, შემდეგ კი ცხინვალის მიმართულებით თანდათან წინ მიიწევს ქართული ჯარი...

გააფთრებული ბრძოლა ცხინვალის მისადგომებთან. ორმხრივი ბრძოლების შედეგად აგვისტოს უღრუბლო ცას ტყვიისფერი კვამლი ისე აჰკვრია, დღეს ღამისაგან ვერ არჩევენ უკვე ბიჭები. გახელებით იბრძვიან სამშობლოსათვის. იციან, აქ, შიდა ქართლის ამ ერთ გოჯ მიწაზე წყდება ბედი საქართველოსი. წინ მოჩანს ქალაქის კორპუსები. რუსული ბომბდამშენები დატრიალებენ ცხინვალის (უძველესი ქართული ქალაქის, „რცხილნარის“) ზეცას. აქვე, ხელის ერთ გაწვდენაზეა მუხნარი, ანუ "დუბოვაია როშჩა," როგორც მას ეძახიან ადგილობრივი მცხოვრებნი. აქედან ხელისგულივით ჩანს ქალაქი. ნელ-ნელა, ბრძოლით მიიწევენ წინ ამ მუხნარისკენ ტბეთის მხრიდან შემოსული ქართველი ჯარისკაცები. ოცი წელია, გაუთავებელი დაძაბულობა და კონფლიქტია ამ რეგიონში, ისევე, როგორც აფხაზეთში...

აფხაზეთი...

ომში მიმავალ ვახტანგს თითქოს მამის ლანდი მიჰყვება გვერდიგვერდ. ბიჭი გამუდმებით მამაზე ფიქრობს, რომელიც ბუნდოვნად ახსოვს — მამამისი, ბადრი გზირიშვილი ქალაქ სოხუმში დაიღუპა აფხაზეთის ომის დროს, როცა ვახო სულ ოთხიოდე წლისა იყო... ობლად გაზრდილ, დედისერთა ბიჭს ძალას მატებს მამის გმირული სული, სწორედ ის ამაღლებს თავგანწირვამდე, თორემ ან აქამდე როგორ მოღიმილი დასთამაშებს თითქოს... იქნებ, მამის ლანდს ხედავს თვალნათლივ. რომ წარმოიდგენდა, იმაზე ლამაზი აღმოჩნდა ოცდარვა წლის ასაკში სამშობლოს მთლიანობას შეწირული ბადრი გზირიშვილი. ძმასავით უდგას პირისპირ ალიკვალად მსგავსი, სამაჩაბლოში დაღლილ-ნაომარი ვაჟკაცი აფხაზეთში დაღლილ-ნაომარ მამას. ოღონდ ეგაა, მამას ნათელი შარავანდედი დაჰყვება თან, ბიჭს კი ვიღაც ანჯღრევს და აღვიძებს...

ვიდა საღ-სალამათი, როცა მისი ძმადნაფიცები მის თვალწინ იცელებიან... დენთის კვამლით გამურულ სახეზე ღვარღვარით ჩამოსდის ოფლი და სისხლი, მაგრამ თითს არ აცილებს სასხლეტს. მტრის სამიზნეზე დგას და უფალი თუ იფარავს მამულის საკურთხეველთან ზვარაკად საკუთარი ფეხით მისულს...

მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლე პოზიცია დაადუმა — ვის შეარჩენს მეგობრების სისხლს?

მოულოდნელად რუსულმა თვითმფრინავებმა გადაიფრინეს. დარტყმის ძლიერმა ტალღამ ხელიდან გააგდებინა იარაღი ჭაბუკს. კასეტური ბომბის ნამსხვრევები, მიწა და კენჭები ერთმანეთში ირევიან... თითქოს წელსქვეითი გრძნობა დაკარგა კაპრალმა, ძლიერი ტკივილი იგრძნო. რის ვაი — ვაგლახით წამოსწია თავი და... მწარედ დაიგმინა — ბომბის ნამსხვრევისაგან ფეხი მოწყვეტოდა სახსარში...

სისხლმდინარეს მიუსწრეს თანამებრძოლებმა და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. არტერია გაგლეჯოდა ჭაბუკს, არა და არ შეუწყდა სისხლი. ჩქარობენ ბიჭები, რათა სამხედრო მანქანით დროზე გამოარიდონ დაჭრილები ჯოჯოხეთს, იქნებ, როგორმე ჩააღწიონ გორის სამხედრო ჰოსპიტლამდე...

თანდათან უცნაურ ბურუსში იძირება კაპრალი ვახტანგ გზირიშვილი... ხედავენ თანამებრძოლები, აგონიაშია მათი ლამაზი მეგობარი, ტუჩებზე წამით თვალს ახელს მომაკვდავი. ახლა დედის უტეხ, სახეშეშლილ ლანდს ხედავს თვალნათლივ და მისი ტკივილიც სტკივა. როგორ მენატრები, დედა... დედა სახეს იხოკავს, თავისკენ ეჭაჩება დედისერთას... იქვე დგას პირმშვენიერი ნანაც, მისი სიყვარული... არ ჰქონია ბედი მათ სიყვარულს... რამხელა ტკივილია დაჭრილის სულში! მაგრამ არა — დედის მოპირდაპირე მხარეს მამაა — იმასთან არაფერი აღარ სტკივა. მამა გულში იხუტებს მონატრებულ ვაჟკაცს. სამშობლოსათვის წამებულ გმირთა მარადიულ საუფლოში, ნათლით გაბრწყინებულ წინაპართა დასში თავწეულნი შედიან მამა-შვილი გზირიშვილები...

ვახტანგს პულსი აღარ ესინჯება. მისი მაჯა უსიცოცხლოდ ვარდება თანამებრძოლის ხელიდან... — სისხლისაგან დაიცალა! — ამოიგმინა მეგობარმა და მტერზე შურისძიებით ანთებულმა თავი ჩარგო დასისხლიანებულ ხელებში.

ძე აღარ დარჩა ბადრი გზირიშვილის კერაზე გვარის გამგრძელებლად...

ვახტანგ გზირიშვილი 1988 წლის 23 აპრილს დაიბადა სოფიცარ მშობელს თავისი ხელფასით შეინახავდა. მისი სატელეფონო მესიჯები დედის უსაზღვრო მონატრებითა და სიყვარულითაა სავსე.

მერე ომიც დაიწყო... დედა გალიაში დამწყვდეულს ჰგავდა, მაგრამ ავტობუსების მიმოსვლა შეწყდა საქართველოსკენ. რვა აგვისტოს, დიდი წვალებით, მაინც გადმოლახა საზღვარი. იმ დღეს ვერაფერი ვერ ჩაიდო პირში — წყალსაც, საჭმელსაც საშინელი სუნი ასდიოდა. რაღაცას მიხვდა დედის გული, მაგრამ არ დაიჯერა დაუჯერებელი... გამოიარა ძნელი გზა, გორიდან ძლივს გამოასწრო დაბომბვას. დაჭრილიაო, ატყუებდნენ დედას, მაგრამ შვილი უკვე სახლში მისვენებული დახვდა...

კაპრალი ვახტანგ გზირიშვილი დაკრძალულია ქალაქ რუსთავის სასაფლაოზე, მამის გვერდით. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, გარდაცვალების შემდეგ გმირს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი მიენიჭა.

... დედას სიცოცხლე აღარ უნდოდა. შინაგანად მოკვდა. ეკლესიაში წასვლა და მონაზვნად აღკვეცა გადაწყვიტა. ვახო ესიზმრა — დედა, ააშენე ტაძარი და მოგეხმარები — სთხოვა შვილმა. წმიდა მეფის — ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო ვარკეთილში. რამდენიც მეფე ვახტანგს აუნთებენ სანთელს, იმდენი სამშობლოსათვის დაღუპული ვახტანგის სულიც განათლდება — ფიქრობს თავსაფრიანი დედაკაცი და ოთარაანთ ქვრივივით დადის, რომ ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე, რომ თავის მიერ დაარსებულ აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ოჯახების დახმარების ფონდის საშუალებით შეეწიოს და შეუმსუბუქოს ცხოვრება დაზარალებულ ოჯახებს, დაობლებულ პატარებს.

ამაყია, რომ გმირი გაუზარდა საქართველოს. ისიც იცის, რომ მისი ვახტანგი უფალთანაა. მაგრამ დედაა და უნდოდა შერჩენოდა, გამრავლებოდა...იბრძვის და იტანჯება, სხვანაირად ვერ უძლებს წუთისოფლის უსამართლობას...

ნეტავ, სიკვდილო, შენც მოგცა შვილი და სხვა სიკვდილმა წაგართვას...

ლია ჭიღლაძე

© ალიან-ჩალიანი

უმთავრესია განათლების სისტემის დეპოლიტიზაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა სამინისტროს 2012 წლის ბოლო ორი თვის მუშაობა შეაჯამა.

როგორც მარგველაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები განხორციელდა და შიდა რესურსის მობილიზების ხარჯზე 7,5 მილიონ ლარზე მეტი დაიზოგა. მისი თქმით, კახეთში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სტუდენტთა 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, 2,4 მილიონ ლარამდე გამოიყო, დარჩენილი თანხით კი, საახალწლოდ საჯარო სკოლის მასწავლებელთა და ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალის მატერიალური წახალისება განხორციელდება 60-65 ლარის ფარგლებში.

— მომავალი წლიდან იგეგმება საჯარო სკოლის პედაგოგთა საბაზო შრომის ანაზღაურების ზრდა თვეში 70-80 ლარით. ასევე, იმ საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც სკოლამდე მისასვლელად უხდებოდათ ფეხით დიდი მანძილის გავლა, შეიქმნა პროგრამა, რომლის ფარგლებში 190 სკოლის 9 000-ზე მეტი მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტით, — განმარტა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, გაიზრდება სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებისთვის და განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ხოლო 2014 წლის დასაწყისში გაიცემა 2013 წლის მე-13 ხელფასი. ანაზღაურების მქონე პედაგოგებისთვის ეს თანხა 360 ლარი იქნება.

ამასთან, მისი თქმით, სამინისტროს პრიორიტეტი სისტემის დეპოლიტიზაციაა. — ჩვენ სისტემას მოვაშორეთ ყველანაირი პოლიტიკური აქცენტი, — აღნიშნა მარგველაშვილმა. მისივე თქმით, სპეციალურ კომისიაში დაზარალებულ განათლების მუშაკთა ასობით საჩივარი შედის, „თუ როგორ ხდებოდა პოლიტიკური ნიშნით ადამიანების გათავისუფლება“.

ჯანდაცვის ბიუჯეტი 45 პროცენტით გაიზრდება

ამის შესახებ გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა დავით სერგიენკომ განაცხადა. სერგიენკოს თქმით, წინა წლებთან შედარებით ჯანდაცვის ბიუჯეტს ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მისივე განცხადებით, გასულ წელს ჯანდაცვის ბიუჯეტი 1 379 602 000 ლარი იყო, 2013 წლის ბიუჯეტში კი, სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი იქნება 1 654 722 000 ლარი.

სერგიენკომ ბრიფინგზე ისაუბრა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. მისივე თქმით, 2013 წლის პირველი აპრილიდან 67 წლამდე ასაკის პენსიონერთა პენსია 110 ლარიდან გაიზრდება 125 ლარამდე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსია 100 ლარიდან 125 ლარამდე. ამასთან, 2013 წლის პირველი ივლისიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის, რომელთაც აქვთ 57 000 ქულამდე, პირველ წევრზე 30 ლარის ნაცვლად გაიცემა 60 ლარი, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე 24 ლარის ნაცვლად — 48 ლარი. მისივე თქმით, სოციალური საოჯახო დახმარებები ფაქტიურად ორმაგდება. მინისტრის განმარტებით, 2013 წლის პირველი სექტემბრიდან ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია 125 ლარიდან გაიზრდება 150 ლარამდე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსია — 70 ლარიდან 100 ლარამდე, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების პენსია კი — 55 ლარიდან 100 ლარამდე.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ისაუბრა ასევე პენსიონერთა იმ კატეგორიის შესახებაც, რომლებიც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ. მისივე თქმით, 2013 წლის პირველი აპრილიდან ასეთი კატეგორიის პენსიონერებისა და სამოქალაქო ავიაციის მომსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გადაანგარიშდება, რისთვისაც მომავალი წლის ბიუჯეტში 19 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

აღლანეთის მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების ხელფასი იზრდება

ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ვაკო ავალიანმა განაცხადა.

ვაკო ავალიანის თქმით, ეს გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ავღანეთში თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ვიზიტის შემდეგ მიიღო.

მისი განცხადებით, რიგითი მოსამსახურის ხელფასი 40%-ით გაიზრდება და 715 დოლარის ნაცვლად 1 001 დოლარი იქნება, კაპრალის ხელფასი 780 დოლარის ნაცვლად 1 040 დოლარი გახდება, უმცროსი სერჟანტები 845 დოლარის ნაცვლად 1 079 დოლარს მიიღებენ, სერჟანტები კი - 910 დოლარის ნაცვლად 1 118 დოლარს.

ასევე, იზრდება უფროსი სერჟანტების, ლეიტენანტების, უფროსი ლეიტენანტების, კაპიტნების, მაიორების, ვიცე-პოლკოვნიკების და პოლკოვნიკების ანაზღაურებაც.

— ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ, ხელფასები პირველად ეზრდებათ. მათ მხოლოდ ერთხელ, 2011 წელს აიღეს პრემია, ერთ სამხედროზე საშუალოდ 365 ლარის ოდენობით, მაშინ, როდესაც 2009 წლის სექტემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და გაერთიანებულ შტაბში ფულადი პრემიის სახით გაცემულია 41 164 000 ლარი, — განაცხადა ვაკო ავალიანმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რა (თუ ვინ) დგას საქართველოს ახალი ხელმძღვანელის სიტყვებს უკან?

ყოველგვარი ეჭვის გარეშე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის უკანასკნელ განცხადებას, რომელიც მან გააკეთა 21 დეკემბერს გაზეთ „რეზონანსისთვის" მიცემულ ინტერვიუში, შეუძლია მოგვიტანოს ბევრი ახალი რამ სამხრეთი კავკასიის სამ და თურქეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობებში.

„რბილად რომ ვთქვათ, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა იწვევს შეკითხვებს. შესაძლებელია საკითხები ამ თემაზე დავსვა აზერბაიჯანში ვიზიტის დროს და რბილად განვუმარტო ჩვენს მეგობარ ქვეყანას, რომ რომელიღაც ეტაპზე ეს პროცესი შეიძლება არ იყოს ჩვენთვის ხელსაყრელი, და მას მოწესრიგება სჭირდება. ეს კი იოლი არ იქნება, ვინაიდან პროცესი უკვე დაწყებულია და მშენებლობა მიმდინარეობს", — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ეს საკითხები კარგად უნდა გავააანალიზოთ წინასწარ, ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე და ამ პროცესში უნდა ჩავრთოთ ექსპერტებიც.

„მშენებლობის დაწყებამდე ეს პროცესი იქნებოდა უფრო მარტივი, ახლა კი იგი იქნება ძალიან რთული. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს მეზობელმა ქვეყნებმა და ყოფილმა მთავრობამ, მაგრამ ამავე დროს აქ არის ასევე საკითხები, რაზეც უნდა მივიღოთ პასუხები", — თქვა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის სიტყვებით, საქართველოს ერგო მეტად საინტერესო გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალური ეფექტიანობით. „ჩვენ ბევრს ვმუშაობთ ამაზე. ამ მიზანს ემსახურება ჩემი ვიზიტი აზერბაიჯანში, ამის შემდეგ კი მე ვაპირებ ჩავიდე სომხეთში, შემდეგ თურქეთში", — გვაცნობა ივანიშვილმა.

გულახდილად რომ ვთქვათ, ცოტა გაურკვეველია, რა რეაქციას ელოდება ოფიციალური ბაქოსგან პრემიერ-მინისტრი.

ამავე დროს არანაირ გაოცებას არ იწვევს ის, რომ პირველი, ვინც კომენტარი გაუკეთა ივანიშვილის ამ განცხადებას, იყო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

„მე აღშფოთებული ვარ პრემიერ-მინისტრის განცხადებით სარკინიგზო ხაზის ყარსი-ახალქალაქის პროექტის გადასინჯვისა და შეჩერების შესაძლებლობის შესახებ. ეს დამოუკიდებელი საქართველოს დიდმნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, დაუკავშირდეს ევროპას რუსეთის გვერდის ავლით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ისწრაფვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. ეს განცხადება ჩვენ გვაშორებს ევროპისგან და გვაკავშირებს რუსეთის კაბალურ ურთიერთობასთან", — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარასკევს.

„იმ პირობებში, როდესაც ჩვენ ვისწრაფვით ევროკავშირისკენ, უვიზო მიმოსვლისკენ, შეთანხმებისკენ და მომავალი წევრობისკენ ევროკავშირში, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ დავუკავშირდეთ ევროკავშირის ქვეყნებს პირდაპირი რკინიგზით. ამიტომ საუბარი, თითქოს ეს პროექტი ემუქრება ეკოლოგიას, თითიდან გამოწოვილია და არის სისულელე, მეტი არაფერი. მეორეც — ის, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა რაღაცის სანაცვლოდ ჩვენ სრულად გადავერთოთ რუსეთის ელექტროენგიაზე, და პრაქტიკულად მიმდინარეობს კიდეც საუბარი, რომ ჩვენ მოვუხსნათ ვალდებულებანი რუსეთის ელექტროკამპანიას, რომლებიც ითვალისწინებდნენ ახალ სიმძლავრეთა შექმნას და საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას. მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ეს ორი განცხადება გვაშორებს ევროპისგან და გვაკავშირებს რუსეთის ფედერაციასთან კაბალურ დამოკიდებულებასთან.

ვფიქრობ, ეს არ შედის საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებში. და რამდენიც არ უნდა ილაპარაკო იმის შესახებ, რომ გსურს ევროკაშვირში და ნატოში შესვლა, თუ რეალურად არ აკეთებ იმას, რასაც ახლა ვლაპარაკობ, ანდა არც აპირებ ამის გაკეთებას, მაშინ შესანიშნავად მესმის, თუ რატომ მიესალმა წინა დღით ვლადიმერ პუტინი პოზიტიურ სიგნალებს საქართველოს მთავრობისგან", — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

არ იქნებოდა ზედმეტი მოკლედ შეგვეხსენებინა ამ სარკინიგზო პროექტის წინწაწევის რთული ისტორია. 2007 წელს დაიწყო მისი განხორციელება. პროექტის რეალიზაციის ფარგლებში უნდა აგებულიყო სარკინიგზო ხაზი ახალქალაქის სადგურიდან სარკინიგზო სადგურამდე ქალაქ ყარსში, რომლის სიგრძეც 98 კილომეტრია და საიდანაც 68 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიაზეა, 30 კილომეტრი — საქართველოს ტერიტორიაზე.

თავდაპირველი ღირებულება პროექტისა 422 მილიონ დოლარს შეადგენდა, იქიდან 202 მილიონი დოლარი უნდა მოხმარებოდა საქართველოს მონაკვეთის მშენებლობას, 220 მილიონი დოლარი — თურქეთისას. თუმცა, გვიან ღირებულება გადაისინჯა გადიდების მიმართულებით. 2008 წლის ბოლოსთვის პროექტის საერთო ღირებულება, სხვადასხვა შეფასებით, აჭარბებდა 600 მილიონ აშშ დოლარს. დაგეგმილია, რომ პირველი საჩვენებელი სატვირთო რეისი ევროპაში განხორციელდეს 2013 წლის დასაწყისში.

ყველაზე საინტერესო მომენტი — ხარჯები თანაბრად იკისრეს აზერბაიჯანმა (საქართველოსთვის კრედიტის მინიჭების გზით) და თურქეთმა. აზერბაიჯანმა მინიმალური საპროცენტო განაკვეთით გამოუყო საქართველოს ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე მონაკვეთის მშენებლობისთვის, თავისსავე ხარჯზე აწარმოებს მარნეული-ახალქალაქის მონაკვეთის რეკონსტრუქციას აზერბაიჯანი.

რასაკვირველია, ეკონომიკურის გარდა, ცხადია პროექტის პოლიტიკური საფუძველიც. რა თქმა უნდა, ის არ არის ხელსაყრელი ირანის ამჟამინდელი რეჟიმისთვის და საბოლოოდ აწესებს ოკუპანტი ქვეყნის — სომხეთის — სატრანსპორტო იზოლაციას რეგიონში.

ამავე დროს ის აშკარად ხელსაყრელია საქართველოსთვისაც, აზერბაიჯანისთვისაც და თურქეთისთვისაც, რომლებიც ქმნიან ამ დერეფანს შუა აზიიდან ევროპაში.

მით უფრო გაურკვეველია ივანიშვილის მსჯელობა იმის შესახებ, რომ „რომელიღაც ეტაპზე" ეს რკინიგზა შეიძლება „არახელსაყრელი" გახდეს საქართველოსთვის.

საწყის ეტაპზე ამ გზით დაგეგმილია 10 მილიონ ტონამდე ტვირთის გადატანა ტვირთის ნაკადის შემდგომი გადიდებით 25 მილიონ ტონამდე უახლოეს პერსპექტივაში.

და ამას გარდა, ეს პროექტი ასევე არის უფრო გრანდიოზული გეგმის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთი კავკასიის რკინიგზების შეერთებას ევროპის ქვეყნებთან თურქეთის გავლით. თურქეთის რკინიგზების განვითარების პროგრამის თანახმად, მიმდინარეობს მარმარაის წყალქვეშა სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა ბოსფორის სრუტის ქვეშ სტამბოლში, რაც უზრუნველყოფს პირდაპირ კავშირს რკინიგზების საერთო ევროპულ ქსელთან. პერსპექტივაში, სწრაფი მიმოსვლის პროექტის შესრულებით პროექტი ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსი უნდა გახდეს სარკინიგზო ევროპა-კავკასიის სასწრაფო დერეფნის ნაწილი.

საინტერესოა რას დაუპირისპირებს ყოველივე ამას ბიძინა ივანიშვილი თავისი ვიზიტის დროს ბაქოში? უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ამ შეკითხვას აზერბაიჯანის პირველ პირებთან შეხვედრის დროს აუცილებლად დაუსვამენ.

Зеркало

მილიარდერი, რომელიც ცვლის დანაწილებას

საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იწყებს შეტევას, რათა მოხიბლოს რუსეთი და ევროკავშირი და უარყოს ბრალდება „ჯადოქრებზე ნადირობის" გახსნის შესახებ პროდასავლელი პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის კლანის წინააღმდეგ.

შერჩევითი მართლმსაჯულება, დემოკრატიიდან გადახვევა, მოსკოვის ორბიტაზე დაბრუნება: კრიტიკის ნაკადი დაატყდა თავს უკანასკნელი კვირის განმავლობაში მთავრობას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჩამოაყალიბა. მას შემდეგ, რაც ახალი პრემიერი მოვიდა ხელისუფლებაში, პრეზიდენტ სააკაშვილთან დაახლოებული მინისტრები, გუბერნატორები, დეპუტატები განიცდიან დევნას, მათ აპატიმრებენ, აშინებენ ფიზიკური ზემოქმედების ზომებით. თავად სააკაშვილზე, რომელსაც დიდ პატივს სცემენ ვაშინგტონი და ევროპა, ზემოქმედებას ახდენენ იმისთვის, რომ ის გადადგეს, ვინაიდან მის მანდატს ვადა გასდის 2013 წლის ოქტომბერში. რომ არ აღმოჩნდეს დიპლომატიურ იზოლაციაში, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა თბილისში მიიწვია უცხოელი ჟურნალისტები,

„საუბარი არ შეეხება შურისძიებას. ჩვენი მიზანია სამართლიანობის აღდგენა", — განმარტა ივანიშვილმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა სააკაშვილის მომხრეთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, და სხვა დანაშაულები. პრემიერის სიტყვებით, სააკაშვილმა დასავლეთში შექმნა ცრუ წარმოდგენა თავისი რეჟიმის არსის შესახებ. ქვეყანა რეგრესირებულია. „ქართველთა დიდი პრობლემაა ის, რომ მათ არ შეუძლიათ, გაიყონ ხელისუფლება და წავიდნენ კომპრომისზე. ეს ადგილობრივი მენტალიტეტია. ის, ვინც უფრო ძლიერია, ღებულობს ყველაფერს როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესში", — განმარტავს ფრანგი მეწარმე ლუდოვიკ ჟირო, რომელიც უკვე ორი წელიწადია თბილისში მუშაობს.

„ივანიშვილი ამბობს, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტია ევროკავშირსა და ნატოში შესვლა. ამავე დროს პრემიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის არ იყენებს „შეურაცხმყოფელ რიტორიკას" ვლადიმერ პუტინის მისამართით, როგორც ამას მიხეილ სააკაშვილი აკეთებს.

მას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში შეხვდება ვლადიმერ პუტინს ან დიმიტრი მედვედევს. რუსეთის პრეზიდენტი ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავს. როდესაც ჟენევაში ორი ქვეყნის ემისართა შეხვედრის შესახებ საუბრობდა, ქართულმა დიპლომატიურმა წყარომ აღნიშნა: „სინამდვილეში, უკანასკნელი ორმხრივი კონტაქტი არ იყო ბოლომდე პოზიტიური. ქართველებს არ გააჩნიათ მოსკოვზე ზემოქმედების ბერკეტი. უფრო მეტიც, კრემლს არანაირი სურვილი არ გააჩნია, ხედავდეს თავის სამხრეთ საზღვრებთან აყვავებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელმაც შეძლო აღმოეფხვრა კორუფცია", — წერს ჟურნალისტი.

ემანუელ გრინშპანი

LE TEMPS

დედამიწის ზურგზე

ჩინეთში მაო ძედუნის დაბადების დღეს გახსნეს რეკორდულად სწრაფი რკინიგზა

პლანეტაზე ყველაზე გრძელი სწრაფი გზა ერთმანეთს აერთებს პეკინსა და გუანჯოუს და, ფაქტობრივად, გადის ნახევარ ქვეყანაზე. ახლა 2298 კილომეტრის დაძლევა, რაც დედაქალაქს სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპირო ქალაქისგან ჰყოფს, ყველა მსურველს შეუძლია, გადალახოს 8 საათში 20-ის ნაცვლად. რიგითი ჩინელები კმაყოფილი არიან — ახლა გუანჯოუს მცხოვრებლებს, რომლებიც სამუშაოს საშოვნელად გადიან, შეუძლიათ უფრო ხშირად მოინახულონ თავიანთი ოჯახები.

* * *

ან-72-ის კატასტროფის დროს ყაზახეთში არავინ გადარჩენილა: „ძუდგი მრია ყველგან, ცხედრები... პირდაპირ ხორცის ბაზარს მოგვაგონებს"

საუწყებო თვითმფრინავით მიფრინავდნენ ყაზახეთის სასაზღვრო სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ტურგანბეკ სტამბეკოვი, მისი თანხმლები ოფიცერთა ჯგუფი უწყების ცენტრალური აპარატიდან და ეკიპაჟის 7 წევრი. დაიღუპა ყველა 27 კაცი, ვინც ბორტზე იმყოფებოდა. ზოგიერთი მომხდარს ყაზახეთის სასაზღვრო საგუშაგოზე ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარ სისხლისღვრას უკავშირებს.

* * *

თეთრმა სახლმა თავისი საიტიდან ამოიღო პეტიცია რუსი ოპოზიციონერების წინააღმდეგ

დოკუმენტის ავტორად მითითებული იყო ვინმე მარკ ფეიგინ ფ. მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ გადაწყვიტა, რომ ეს არის ადვოკატი მარკ ფეიგინი, ყოფილი დამცველი პანკ-ჯგუფის საქმის პროცესზე. ადვოკატმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ არანაირი პეტიცია მას არ შეუდგენია. უნდა აღნიშნოს, რომ მოწოდების ავტორის ინიციალები სინამდვილეში არ ემთხვევა — ფეიგინის ადვოკატის მამის სახელი ზაქარიას ძეა.

* * *

ობამა შობას, როგორც წესი, ჰავაის კუნძულებზე შეხვდა

მაგრამ ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დასვენება, როგორც ჩანს, ხანმოკლე იქნება. იგი, ალბათ, უკვე ხუთშაბათს დაბრუნდება ვაშინგტონში. გადაუწყვეტელი რჩება ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საშინაო პრობლემა. ქვეყანა საფინანსო ხრამში გადაჩეხვის საფრთხის წინაშე იმყოფება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წიგნი

ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე

ლია ბარათი როსტომ ჩხეიძეს

ბატონო როსტომ!

უღრმესი მადლობა გალაკტიონისადმი მიძღვნილი საოცარი წიგნისათვის. თქვენი ახალი, დიდტანიანი წიგნი ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. მასში მოთავსებული გალაკტიონის ცხოვრების ეპიზოდები, კარგად ნაცნობი ფაქტების სილრმისეული ინტერპრეტაცია, უცნობი მასალების მოშველიება მკითხველს კიდევ ერთხელ უჩვენებს XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ტრაგიკული ფიგურის სულის მოძრაობებს, რომლებიც ხან შეგძრავენ გულის სიღრმემდე, ხან კი გიბიძგებენ, რომ დაივიწყო კიდეც.

გალაკტიონი სულ ორჯერ ვნახე — მაშინ, როდესაც ბავშვობისას ჩვენს ეზოში მოდიოდა მხატვარ კორნელი სანაძესთან პოზირებისათვის. ბავშვებიც კი მას აღვიქვამდით როგორც სრულიად არამიწიერ, სადღაც სხვა სამყაროდან მოსულ ადამიანად. მეორედ უკვე გარდაცვლილი გალაკტიონი ვნახე დაკრძალვაზე, მთაწმინდისკენ მიმავალ გზაზე, სადაც ათასობით ადამიანი მიაცილებდა მას უკანასკნელ სავანეში, ხოლო მთის ფერდობებზე შეფენილი ხალხის რაოდენობა რაღაც ფანტასტიკურ სანახაობას ქმნიდა. გავბედავ და ვიტყვი — გალაკტიონს მოეწონებოდა ეს ცერემონია. ვფიქრობ გულწრფელი წუხილი ათასობით ადამიანისა, პოეზიის მოყვარულისა.

განსაკუთრებით ამაღელვა იმ ფრაგმენტმა თქვენი წიგნისა, სადაც გალაკტიონის მიერ შედგენილი არდასავიწყებელი ადამიანების ნუსხაა წარმოდგენილი.

ჩემდა გასახარად, სიაში აღმოვაჩინე ორი მხატვრის გვარი. ერთი — წარმოშობით პოლონელი — ქუთაისელი ფედორ ჩუდეცკია, რომლის გვარსაც ვახტანგ ბერიძის მემუარებიდან ვიხსენებ.

მეორე — ამჟამად მართლაც სრულიად დავიწყებული მხატვარი ირაკლი ტოფაძეა. ახალგაზრდობიდანვე ქვეყნის სამსახურისთვის მომართული ხელოვანი. იგი იყო ერთ-ერთი ავტორი დიმიტრი შევარდნაძისთვის ქუთაისელი ახალგაზრდების ჯგუფის მიერ გაგზავნილი წერილისა, რომელშიც ისინი გამოხატავდნენ სიხარულს ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებით და გამოთქვამდნენ დიდ სურვილს, ენთუზიაზმს, ებრძოლათ ქართული ხელოვნების განვითარებისთვის.

ირაკლი ტოფაძე თბილისში გადმოსვლის შემდეგ სამხატვრო აკადემიაში სწავლის პარალელურად ენერგიულად თანამშრომლობდა დიმიტრი შევარდნაძესთან.

მისი ბედი ტრაგიკულია. იმდენად მივიწყებულია, რომ ერთი ხანი, როდესაც მისი ბედით დავინტერესდი, ვვარაუდობდი, რეპრესიებს ხომ არ შეეწირა-მეთქი. მაგრამ 1934 წლის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილ სტატიაში იგი მოხსენიებულია, როგორც უდროოდ გარდაცვლილი მხატვარი. მისი ნამუშევრები ხელოვნების მუზეუმში თითქმის არ არის. გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საკომისიო მაღაზიაში აღმოვაჩინე მისი დიდი ზომის ფერწერული ტილო — მოხუცი მამაკაცის პორტრეტი. ამ, ჩემი აზრით, სასიხარულო ამბის შესახებ შევატყობინე ხელოვნების მუზეუმის ქართული ხელოვნების განყოფილების თანამშრომლებს, მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს უნაყოფო ცდა იყო, მაშინდელი მდგომარეობა მუზეუმისა — უფინანსობა, სრულად გამორიცხავდა მისი ნამუშევრის შეძენის შესაძლებლობას. თუმცა, იგი შედარებით იაფი — სულ 500 დოლარი ღირდა. ვცადე სხვა გზების გამონახვაც, მაგრამ მალევე მაღაზია, სადაც ნამუშევარი ეკიდა, მეპატრონის სამართალდამცავ თუ ფინანსურ ორგანოებთან შექმნილი პრობლემების გამო დაიხურა. ქუთაისში ირაკლი ტოფაძის ნათესავთა მოძიების ჩემეული ცდა უნაყოფოდ დამთავრდა...

თქვენ წიგნში გაბნეულია უამრავი მასალა, რომელიც ფასეულია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის. მაგალითად გამოდგება მცირე ინფორმაცია, რომ გალაკტიონის პირველი წიგნის გაფორმება ეკუთვნის ცნობილ ფერმწერს გრიგოლ მესხს, რომელიც იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ და სხვა მრავალი წიგნისთვის, რომლებიც ნათელს ჰფენენ ქართული ლიტერატურის, ხელოვნების ბევრ უცნობ ფურცელს და ახალი კუთხით გვიჩვენებენ საყოველთაოდ ცნობილ ამბებს, პერსონებს, პროცესებს.

პატივისცემით
ნინო ზაალიშვილი

◎ სარედაქციო ფოსტიდან

ჭანტურია საკუთარ თავს უფრო მეტად წარმოაჩენს...

ამას წინათ (18 XII) ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან შეეხმიანა „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილ პოეტ ტარიელ ჭანტურიას პასკვილს, რომელშიც უკადრისად და უღირსად იყენებს ავტორი საგაზეთო ფართობს „მეგობარი“ პოეტის შოთა ნიშნიანიძის როგორც შემოქმედების, ისე პირადი ცხოვრების „განსაქიქებლად“, საბოლოოდ კი, პირუკუ შედეგს იღებს: ტარიელ ჭანტურია საკუთარ თავს უფრო მეტად წარმოაჩენს შავად, ვიდრე „შესაფასებელ ობიექტს“. ბუნებრივია, რომ მკითხველები აღშფოთებულები რეკავენ რედაქციაში, ზოგიერთები წერილებსაც აგზავნიან. დღეს ერთ-ერთი ასეთი აღშფოთებული ავტორის წერილს გთავაზობთ ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან.

ბატონო ვილენ,

კრძალვით გაახლებთ ბარათს.

თქვენს წერილებს ინტერესით და ყურადღებით ვკითხულობ. ამჯერადაც ჩვეული განწყობით წავიკითხე წერილი „როგორ დავკარგე ტარიელი!..“

თქვენი გამოხმაურება ტარიელ ჭანტურიას პასკვილზე დაწერილია „რისხვისა და მიკერძოების გარეშე“. ის აღსავსეა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით.

ღვთივკურთხეული პოეტი შოთა ნიშნიანიძე ერს მოუკვდა. მისი ხსოვნა არ გაფერმკრთალდება ერთი ავენატანიას (საბა) ყიამყრალობით.

გთხოვთ, მაპატიოთ ხელნაწერის გამოგზავნა.

თქვენი მადლიერი მკითხველი

როდერიგო ფოცხიშვილი,
თბილისი, წყნეთის ქ.№ 1 22.XI.2012.

◎ დაბაგემოვნე, მკითხველო!

საახალწლოდ შემოგვემატა „ამერ-იმერი“

რა სჯობს მატებას საახალწლოდ! ჰოდა, ლიტერატურის მოყვარულებს შეემატათ ალმანახი **„ამერ-იმერი“**, რომელიც მომავალი წლიდან გამოვა ორ თვეში ერთხელ და, იმედია, თავისი დონით, ლიტერატურული პროდუქციის ხარისხით, რომ იტყვიან, „მოუჯოკრავს“ დღესდღეობით უხვად გამომავალ ჟურნალებსა და ალმანახებს.

ამის საფუძველს კი უკვე იძლევა მისი პირველი ნომერი, რომლის საახალწლო ეგზემპლარი საგულდაგულოდ დავათვალიერეთ და მასში (300 გვერდში) ბევრი საყურადღებო, ნაირ-ნაირი, სწორედაც რომ საკითხავი მასალა ვიხილეთ. მაგალითად, პოეზიაში — ვაჟა-ფშაველას, მუხრან მაჭავარიანის, ბაღათერ არაბულის, მაია მიქაიას, ელგუჯა ლებანიძის, ლელა მეტრეველის და სხვათა ლექსები, პროზაში — რევაზ მიშველაძის, ლალი ბრეგვაძე-კახიანის, ჯემალ დავლიანიძის, გულო კობიაშვილის, ზურაბ თორიას და სხვათა მოთხრობები და ნოველები, საზღვარგარეთული პოეზია წარმოდგენილია ნომადი ბართაიას სპარსელი და რენე კალანდიას ბალტისპირელი პოეტების თარგმანებით, საზღვარგარეთული პროზა — ლუკიანე სამოსატელის გურამ გოგიაშვილისეული, არტურო პერეს რევერტეს ელზა ახვლედიანის და სხვათა თარგმანებით.

ალმანახს აქვს (300 გვერდში ვერ ჩაატევნენ თუ რა?!) რუბრიკები: „ადამიანი“, „წერილები“, „ინტერვიუ“, „ხელოვნება“, „მწერლის უბის წიგნაკი“, „ახალი წიგნები“, რომელთა ქვეშ უამრავ საინტერესო მასალას წაიკითხავთ.

უმალ დაფასდა ალამანახის პროექტის ავტორის, გამომცემლისა და მთავარი რედაქტორის ვაჟა ჩორდელის, მართლაც დიდი შრომა და ალმანახი „ამერ-იმერი“ განიხილეს საქართველოს საპატრიარქოს, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში.

შეხვედრა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, ალმანახის სიავკარგეზე ისაუბრეს ცნობილმა მწერლებმა, პოეტებმა, კრიტიკოსებმა — ზაალ ბოტკოველმა, თემურ ქორიძემ, ელგუჯა ლებანიძემ, ჯემალ დავლიანიძემ, ემზარ კვიტაიშვილმა, ერეკლე საღლიანმა, ზურაბ აბაშიძემ, ბადრი ქუთათელაძემ...

რა თქმა უნდა, გამოვიდა ბედნიერი, სახეგაბრწყინებული ვაჟა ჩორდელიც, მან დიდი მადლობა გადაუხადა იქ შეკრებილ საზოგადოებას და აუწყა, რომ ალმანახი „ამერ-იმერი“ მალე ყოველორთვიურ ჟურნალად გამოვა და, იმედია, რომ უკეთესი და უკეთესი იქნება.

ჩვენც ეგ გვინდა!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ წარდგინება

ახალი „ჰერეთის ისტორია“

ერუვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, საზოგადოება „ქურმუხელისა“ და ჰერეთის ელექტრონული ბიბლიოთეკის“ ორგანიზებით გაიმართა ვასილ პაპიაშვილის წიგნის „ჰერეთის ისტორიის“ წარდგინება. წიგნი აქამდე არსებულ გამოცემებს შორის პირველი ნაშრომია, რომელშიც ასახულია ისტორიული კუთხე ჰერეთის გაბმული ისტორია და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა უძველესი დროიდან XX საუკუნემდე.

საზოგადოება „ქურმუხელის“ აქტიური მხარდამჭერისა და ახალგაზრდა მამულიშვილის — ნოდარ გასიტაშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო საღამო წუთიერი დუმილით დაიწყო.

ავტორმა დაწვრილებით მიმოიხილა წიგნის შექმნისა და შინაარსის ისტორია. ვასილ პაპიაშვილის თქმით, ნაშრომი შედგენილია არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე და ძირითადად შეიცავს ჰერეთთან დაკავშირებული ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნობებს, რაც მკითხველს მისცემს შესაძლებლობას საფუძვლიანად გაეცნოს ამ მხარის ისტორიულ წარსულს. „ჰერეთის ისტორიას“ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის წინასიტყვაობა ერთვის, სადაც აღნიშნულია: **„ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰერეთის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომი არსებობს, თუმცა ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს. სასიხარულოა, რომ მისი შესწავლით დაინტერესებულია ახალგაზრდა მკვლევარი, მაგისტრანტი — ვასილ პაპიაშვილი, რომელსაც ჰერეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხი წარდგენილი აქვს საერთაშორისო და ეროვნულ-სამეცნიერო კონფერენციებზე.“**

იმ დღეს ასევე მოხდა „ჰერეთის ელექტრონული ბიბლიოთეკის“ ვებგვერდის წარდგინება. საზოგადოება „ქურმუხელის“ მიერ დაბეჭდილი საეკლესიო კალენდრის გაყიდვებიდან შემოსული თანხა მოხმარდება ორგანიზაციის განვითარებასა და ახალი პროექტების განხორციელებას.

წარდგინება დასრულდა კულტურული ღონისძიებით, რომელშიც მონაწილეობდნენ: **ანსამბლი „ჰერულა“, გიორგი პაპიაშვილი და პოეტები: შორენა თამაზაშვილი, ზაზა სუყაშვილი და თამარ შაიშმელაშვილი.**

ნატა ნიბლაძე

სურათებზე: ქველმოქმედი ბადრი წიქორიძე (შუაში); ანსამბლი „ჰერულა“; წიგნები „ჰერეთის ისტორია“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თხილამურები

ახალი მწვრთნელი, უკეთესი შედეგები

სახელოვანი ლუქსემბურგელი ვეტერანი მოთხილამურე მარკ ჟირარდელი ხუთგზის მსოფლიოს თასის მფლობელია. საქართველოს ნაკრები მისი სახელობის ბრენდის ფორმებს ატარებს. ჯოვანი ლაზარინის წლების განმავლობაში უმუშავია მშობლიურ იტალიის ნაკრებში და მაღალკვალიფიციური მწვრთნელის სტატუსით გამოირჩევა. ამჟამად იგი საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს. ეროვნული სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი რამიშვილმა ორივე სახელოვანი პიროვნება საქართველოში მოიწვია და სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ესწრებოდა, დამსწრეთ წარუდგინა. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოს სამთო მოთხილამურეებმა – როგორც უფროსებმა, ისე ახალგაზრდებმა 2012-2013 წლების სეზონი გაუმჯობესებული შედეგებით გახსნეს. დასტურად რამდენიმე შედეგის დასახელებაც კმარა: ნინო წიკლაურმა იტალიაში გიგანტურ სლალომში ზედიზედ ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვა, ორიოდე დღის წინათ კი მე-6 იყო, თუმცა ამჯერად წლევანდელი თავისი საუკეთესო შედეგი 42,9 წამით გააუმჯობესა. იტალიაშივე იასპარეზეს ვაჟებმა: იასონ აბრამაშვილმა 1.17,27-ით სლალომში მე-5 ადგილი დაიკავა, სანდრო ოგბაიძე (1.26,62) 46-ე იყო. მანამდე ალექსი ბენიაიძე სლალომში 1.17,18-ით მე-8 ადგილს დასჯერდა. ჯაბა გელაშვილი სლოვენიაში 1.37,84-ით სლალომში მე-13 ადგილზე გავიდა. ყოველივე ეს კი გვაიმედებს, რომ ზამთარში ჩვენი გოგო-ბიჭების სარეიტინგო მაჩვენებლები აუცილებლად გაიზრდება. პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ 2013 წლის თებერვალში ავსტრიის კურორტ შლადმინგში მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს ჯოვანი ლაზარინი უხელმძღვანელებს.

ფედერაციის ხელმძღვანელებმა დამსწრეთ გააცნეს 2013 წლის თასის გათამაშებისა და ჩემპიონატის საშეჯიბრო კალენდარი:

I ეტაპი. 29-30 დეკემბერი, გუდაური.

II ეტაპი. 12-13 იანვარი, გუდაური.

III ეტაპი. 26-27 იანვარი, გუდაური.

IV ეტაპი. 2-3 თებერვალი, ბაკურიანი.

V ეტაპი. 23-24 თებერვალი, ბაკურიანი.

VI ეტაპი. 9-10 მარტი, მესტია.

VII ეტაპი. 23-24 მარტი, ბაკურიანი.

VIII ეტაპი. 4-5-6 აპრილი, გუდაური.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ჩაროზი საამიროებიდან

დღეს აბუ-დაბიში მეოთხედ იწყება სეზონის დამაგვირგვინებელი ექვსთა საჩვენებელი ტურნირი „მუბადალა ვორლდ ტენის ჩამპიონშიპ“, რომელიც იმითაა აღსანიშნავი, რომ მთელ საპრიზო ფონდს – 250 000 ამერიკულ დოლარს გამარჯვებული იღებს.

ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კორტზე გამოვა დასახელებული ასპარეზობის ორგზის ლაურეატი რაფაელ ნადალი, რომელიც შარშანდელი ტრიუმფატორის ნოვაკ ჯოკოვიჩის მსგავსად მთავარი ჯილდოსათვის ბრძოლაში ნახევარფინალიდან ჩაებმება.

რაც შეეხება მეოთხედფინალებს, ერთმანეთს შეხვდებიან: ენდი მარეი – იანკო ტიპსარევიჩი, დავიდ ფერერი – ტომაშ ბერდიხი.

ალბათ, დაგაინტერესებთ წინა ტურნირების ფინალური მატჩების შედეგები:

1. ენდი მარეი – ნადალი 6:4, 5:7, 6:3.

2. ნადალი – რობინ სოდერლინგი 7:6, 7:5.

3. ნადალი – როჯერ ფედერერი 7:6, 7:6.

4. ჯოკოვიჩი – ფერერი 6:2, 6:1.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

მოყვარეს პირში უძრახე...

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო ყრილობას 34 დელეგატიდან 29 დაესწრო. ალბათ, მათ წინასაახალწლო განწყობას არაფერი დაემუქრებოდა, რომ არა გამოჩენილი გამთამაშებლის გურამ მინაშვილის პირუთვნელი გამოსვლა. თბილისის „დინამოს“ კაპიტანმა, რომელმაც ნახევარი საუკუნის წინათ, თანამემამულეთაგან პირველმა და, ჯერჯერობით უკანასკნელმა, ჩემპიონთა თასი აღმართა, გულისტკივილით განაცხადა:

„რამდენი ხანია ჩემთვის არ დაგიძახიათ. ვეტერანები იმის ღირსნი არ ვართ, რომ მოგვიწვიოთ? ახლა კი იმ კონკრეტული პრეტენზიების შესახებ, რომელიც ფედერაციის მიმართ გამაჩნია.

უპირველესად, მსურს გაგიზიაროთ უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში უცხოელ მწვრთნელთა ჩამოყვანის თაობაზე, რადგან მათ პატიოსნებაში ეჭვი მეპარება. სამაგალითოდ თბილისის „დინამოსა“ და „ჯვაროსანთა“ ექს-თავკაცის დრაჟენ ბრაიკოვიჩის დასახელება კმარა, რომელიც, თურმე, ქალთა გუნდების გაძღოლაზე ყოფილა დასპეციალებული, რაც მოგვიანებით, მასთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ შევიტყვეთ.

გულახდილად გეტყვით, რომ არც საქართველოს ეროვნული ნაკრების მოქმედი დამრიგებელი იგორ კოკოშკოვი იწვევს სიმპათიებს. და იცით, რატომ? სერიოზულ ტაქტიკურ იაღლიშად მესახება ის ფაქტი, რომ ერთდროულად ვერ ვიყენებთ ისეთ ფუფუნებას, როგორიც ორი უმაღლესი დონის ცენტრალური თავდამსხმელი – ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინია. ამას წინათ სერბი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გამართული ჩვენი ნაკრების 20 შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ვნახე, სადაც აღნიშნულ დუეტს მხოლოდ 2 წუთით მოუწია სარბიელზე გამოსვლა. ეს ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს ამ ორეულის ეფექტურობას

◎ „სად წაიყვან სადაურსა“

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

დავით ჩუბინაშვილი (1814-1891)

ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე, პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში; 1960 წლიდან რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა და 1969 წლიდან საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრი, აგრეთვე წევრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“.

დაიბადა საქართველოში, ქ. თბილისში. 1839 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური სიტყვიერების ფაკულტეტი და ერთ წელიწადში დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს თარჯიმნად. 1844-ში ქართული ენის მასწავლებლად მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. იქვე 1855-71 წლებში იყო ახლადდაარსებული ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის პროფესორი და გამგე.

სამეცნიერო მოღვაწეობა დ. ჩუბინაშვილმა დაიწყო 1840 წლიდან. დავასახელოთ იმისი ცნობილი წიგნები: „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (1840); „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (1846, ქართული ენის გრამატიკის ნარკვევის წანამძღვრებით); კვლავ „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (1887-91).

დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში მონაწილეობითაც; წვლილი შეიტანა აგრეთვე ი. ბარტლინსკის მიერ პოემის პოეტური თარგმანის მომზადებაში (1845); აღწერა იერუსალიმის ქართული სიძველენი, პირველმა გამოამზეურა ცნობა ქართველთა ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის შესახებ.

დ. ჩუბინაშვილი პეტერბურგშია გარდაცვლილი.

მოამზადა
თამაზ ეგანოვიძემ

◎ ვაი, თქვენს პატრონს!

ნაც-კაცუნებო!

ჩვენ ოპოზიციაში ვართო, გამუდმებით გაჰყვირიხართ, ნაც-კაცუნებო. ასე რამ შეგაყვარათ სიტყვა „ოპოზიცია“? სულ ცოტა ხნის წინათ გაგონებაც კი არ გინდოდათ, ოპოზიციონერებს იჭერდით, აწამებდით. ნუთუ დაგავიწყდათ თქვენი მამა-მარჩენალის სიტყვები: „ყველანი ციხეში!“ ნუთუ დაგავიწყდათ თქვენი საქმენი საგმირონი? ბოროტების, ძალადობის, უზნეობის, ტყუილის მთესველნო! ეგრეთ წოდებულ ოპოზიციაში ყოფნამ გაგაგიჟათ, გონება დაგიბნელათ, რეალობის გრძნობა დაგაკარგვინათ, ფსიქოზში ჩაგაგდოთ. ისღა დაგრჩენიათ, რაც შეიძლება ხმამაღლა იყვიროთ, რომ ოპოზიციონერები ხართ, მოაწყვეთ საპროტესტო აქციები ხელში ცოცხებით!

ლონდა მდივანი

სულთათანა

ციცო ციწცაძე-ერისთავი

ციციწო ერისთავი მეუღლესთან, ცნობილ ძირუგბთან არჩილ ერისთავთან ერთად.

დედა! აგერ უკვე თითქმის ერთი წელია, რაც სამუდამოდ დაგვტოვე შენი უსაყვარლესი შვილები და შვილიშვილები... და დაგვიტოვე ღია ჭრილობა, რომელსაც უშენობა ჰქვია...

ამბობენ, დრო ყველა ტკივილს და დარდს კურნავსო, მაგრამ არ ყოფილა მართალი.... ვერ დავძლიეთ, დედა, უშენობა, გვაკლიხარ უზომოდ და გვენატრები.

შენგან ნასწავლი კეთილშობილება, სიკეთე და პატიოსნება გვეხმარება, დავძლიოთ ცხოვრების სიმძიმეები.

უფალმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ულამაზესო, უძვირფასესო და დაუვიწყარო დედა!

შენი შვილები:
მანანა, დავით ერისთავები

შვილიშვილი:
ნინო ხვედელიძე

შვილთაშვილები:
მანანა, გურამი, შოთა, მარიამი.

განცხადება

2013 წლის 22 თებერვალს დღის 12 საათზე შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოს“ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ზუგდიდი, გორის ქ. №11) გაიმართება ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია რეგიონში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი);**
- **ქ. ზუგდიდი, გორის ქ. №11, საწარმოს ადმინისტრაციული შენობა;**
- **ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.**

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებებისა და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

ქ. ზუგდიდი, გორის ქ. №11;

საკონტაქტო: პირი რამაზ ადეიშვილი ტელ: 595 30 60 42

გენადი უბირია ტელ: 579 02 01 10.

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 20 თებერვლის დღის 12 საათამდე.

შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოს“ დირექტორი
ნ. სავჯაია

შვილები მარინა, მაია, შვილიშვილები თამუნა მანგალაძე, ლუკა კვიტაშვილი, შვილთაშვილი ანი ახალაია, ძმა ნოდარ ჯალაღონია მეუღლით მანანა შალიკიანით, და ნორა ჯიქია, დისწულები ჯანსუღი, მედიკო, მზია, მიმოზა. ძმისწული მერაბი ჯალაღონია ოჯახით, სიძე თემურ მანგალაძე იუწყებიან

ალიკო დომენტის ძე ჯალაღონიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 XII, 16 სთ. დაკრძალვა 29 XII, 14 სთ. მისამართი: ყაზბეგის გამზირი №3.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ცნობილ ქართველ პოეტს ნოდარ ჯალაღონიას ძმის

ალიკო ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის 1982 წლის მესამე ჯგუფის კურსდამთავრებული უახლოესი მეგობრები ოჯახებით თანაუგრძნობენ თათო ჯავახიშვილს, გივიკო, ლევან გიორგაძეებს მეუღლის და მამის

თემურ გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

◎ თვალთმაქცობა?

კოჰაბიტაცია ქართულად

მე და ბენიტომ ადრევე დავთქვით, თუ სამყარო მოსალოდნელი აპოკალიფსისგან როგორმე გამოძვრებოდა, მეორე დილას კაცობრიობის გადარჩენა ხაშითა და სირჩა არყით აღგვენიშნა. ასეც მოვიქეცით.

— გაუმარჯოს ადამის მოდგმას, — ილოცება ბენიტო, — ღმერთმა არასდროს ინებოს პლანეტის ჩვენგან დაობლება. გადავრჩით, ძმაო, ნამდვილად გადავრჩით!

— გადავრჩით კი, რო? — საეჭვოდ ვაქნევ თავს, — ამბობენ გადაიდოო.

— გაგიუდი, ტო, რა გადაიდო, აპოკალიფსი? — ბდღვინავს ბენიტო, რომელიც ისეა აღელვებული, ლამის ჭიქა ხელიდან გაუვარდეს და ხაში ჩაიშხამოს.

— რა მოხდა, შე კაცო, — ვამშვიდებ, — მთავარია, რომ გადაიდო.

— გადადება მაინც არ მომწონს, — უკმაყოფილოა თანამეინახე, — შენ ეგ საიდან გაიგე?

— დილას, უთენიაზე, „რუსთავი-2“-მა გვახარა.

— იჰ, შენც მომიყვანე რა სანდო არხი, „ბიბისის“ რო ეთქვა, კიდევ ჰო, დავიჯერებდი.

— „რუსთავი-2“ ვითომ „ბიბისიზე“ ნაკლებია? — ავიმრიზე, — მაგხელა რეიტინგი, ძმაო, ახლა მსოფლიოში არც ერთ მაუწყებლობას არა აქვს.

— ეგ საიდან დაადგინე?

— იმავე „ბიბისის“ ხელწერიდან, ვერა ნახე, ნიკა გვარამია რომ დაიჭირეს, მთელ დუნიაზე რა ქარიშხალი დატრიალდა?

— ვითომ „კავკასიის“ შეფი რო დაეჭირათ, იგივე არ მოხდებოდა?

— არაფერი შეგეშალოს, აქუს ამბავს ნახევარი ზესტაფონიც ვერ გაიგებდა.

— კარგი ჰო, ვთქვათ, დავიჯერე, — მოლბა ბენიტო, — მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, აპოკალიფსი რა მიზეზით გადაიდო?

— რა მიამიტი ვინმე ხარ, ტო, ვერა ხვდები, ახლა შუაგულ კოჰაბიტაციაში რომ ვართ და სააპოკალიფსოდ არა გვცალია?

— ჩვენ კი, მაგრამ ევროპამ და ამერიკამ, რომლითაც კოჰაბიტაციის კაიხნის სტაჟი აქვთ, თავი როგორღა დაიძვრინეს?

— სწორედ ეგ ამერიკა და ევროპა დაგვიდგნენ თავდებად თურმე, ვაცალოთ ამ ახალგაზრდა მზარდ ქვეყანას, კარგად ჩატარებული არჩევნების შემდეგ, კოჰაბიტაციის რთული პროცესიც ასევე წარმატებით დაასრულოს, თორემ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს ერთადერთი დემოკრატიაც დაგვეღუპებაო.

— მაგრამ ამ საქმის მოსაგვარებლად მამაზეციერთან ვინმე ხომ უნდა მიეგზავნათ?

— მაგაზე ფიქრი არც დასჭირვებიათ, კოსმოსში მოგზაური საკაშვილი აგერ არა გვყავს?

— ჰოო, ეგ აღარ გამახსენდა, — მოიბოდიშა ბენიტომ, — მიშას კავშირი განა კოსმოსთანაცა აქვს?

— აბა რა გგონია, შე კაცო, ამერიკული „ბოინგი“ ამდენ საწვავს ტყუილადა ნთქავს? არსთა გამრიგეს მიშა თურმე პირადად ეახლა და შეეხვეწა — კოჰაბიტაცია მაქვს დაწყებული, ნუ ჩამაგდებინებო და აპოკალიფსი დროებით გადაადებინა.

— ბლომად ფული კი დაუჯდებოდა, არა?

— თუ ძმა ხარ, მიშას დახარჯული ფული ვის უნახავს (ერთთავად ბიუჯეტზეა მიძუძგურებული), მთელი თანხა ბიძინას გადაუხდია.

— კაცო, თუ ეგრე აწყობილად მიდის საქმე, მაშინ ნაცები და მეოცნებენი, მაგ რაღაც კოჰაბიტაციის გამო, ერთმანეთთან თხა და მგლებივით რატომ არიან? — შეეჭვდა ბენიტო.

— იმიტომ, რო თავად კოჰაბიტაციის პროცესია ასეთი: დაპირისპირებულმა ძალებმა ერთმანეთი ქიშპობა-რქენაში უნდა გამოსცადონ და ასე მიაღწიონ უმაღლეს დემოკრატიას.

— არჩევნებში ხალხმა რო გაიმარჯვა, ეგ არ არის დემოკრატია?

— არის, მაგრამ ნაკლული დემოკრატიაა. ნამდვილ ევროატლანტიკურ დემოკრატიას მაშინ მივიღებთ, თუ მთავრობა და ოპოზიცია ერთმანეთთან ლანძღვა-გინებაში ითანამშრომლებენ, ითანაარსებებენ და ქვეყანას წინ წასწევენ.

— აა, მივხვდი, რაშიც ყოფილა საქმე, — გაიხარა ბენიტომ, — ახლები (ოცნება) იმიტომ იჭერენ ძველებს (ნაცები), რომ ერთმანეთი თათხონ და ანერვიულონ, არა?

— ჰო, თავად დემოკრატიის არსი მოითხოვს ამას, უნდა ერთმანეთი თათხონ, მაგრამ არწყენაზე იყონ, ოპონენტს არ უნდა აგრძნობინონ, რომ ეწყინა.

— აბა ამას წინათ სააკაშვილმა ქუთაისში შუხური რო ატეხა, ეგ რაღა იყო?

— არაფერია, კაცო, მაგის ამბავი ხო იცი, ერთი თავქარიანი და შიპიტა ვინმეა, რეალობას ვერასოდეს ხედავს და ხშირად დაუკრეფავში დაალაჯებს.

— მაგანაც რა ქნას, ტო, — შეიცოდა ბენიტომ, — იმავე ქუთაისში ხო ნახე, მთავრობისთვის რომ არ ეწყენინებინა, მთელი ნახევარი საათი ისე იყო დამალული ტუალეტში, ამხელა შუქურა კაცს საყვედურიც არ დასცდენია.

— აბა რა ექნა, თუკი კოჰაბიტაციის ეთიკა ამას ავალდებულებდა?

— გინდა მითხრა, რომ ევროპული კოჰაბიტაცია ქართულ პონტში თვალთმაქცობა უფროა, ვიდრე დემოკრატია? — ჩაიღიმა მრავალმნიშვნელოვნად ბენიტომ და ჭიქა ჩარჩენილი არყის წვეთებისგან პირწმინდად მოამშრალა.

— იყოს თვალთმაქცობა, რა გენაღვლება? — გავამხნევე კოლეგა, — რაც უფრო მეტხანს გაგვიგრძელდება კოჰაბიტაცია, სამყაროს აღსასრული მით უფრო შორს გადაიწევს(!).

ოტია ჩართოლანი

◎ ინფორმაცია

ახალ წელს არ ითოვებს

27-29 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდები იქნება.

30 დეკემბერს იწვიმებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მანამდე კი დასავლეთ საქართველოში თბილი და უნალექო ამინდებია ნავარაუდევი. კერძოდ, 27-28 დეკემბერს ჰაერის ტემპერატურა 18 გრადუსი იქნება. შემდეგ დღეებში ტემპერატურა დაიკლებს და 30 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში შედარებით აცივდება. ჰაერის ტემპერატურა 4-9 გრადუსი იქნება.

სინოპტიკოსები ახალი წლის დღეებში თოვას არ პროგნოზირებენ.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დედაქალაქი

ნაძვის ხეები გველიან რესთაველზე!

საახალწლოდ გალამაზდა, გაკოხტავდა ჩვენი თბილისი, სახალისო ნათურებით მოირთო დედაქალაქის ცენტრალური უბნები, სადღესასწაულო ჟრიამული აქვთ ატეხილი ზამთრის არდადეგებზე დათხოვნილ პატარებს.

პირველ ყოვლისა მათთვისაა ყველაზე დიდი სიხარულის მომტანი რუსთაველის პროსპექტზე ამჟამად ჯერ კიდევ ყოფილი პარლამენტის მოედანზე გამართულ-გაკიაფებული უზარმაზარი ნაძვის ხე, რომელმაც 25 დეკემბერს მათ მშობლებთან, ბებია-ბაბუებს უმასპინძლა. ასევითვე მწვანე დედოფალი თბილისელებსა და საახალწლოდ ჩამობრძანებულ სტუმრებს იქვე ახლოს, თავისუფლების მოედანზეც ეგებება, მაგრამ თავარი მასპინძლობა პარლამენტის წინ გაიმართა. აქ ბავშვებს და იმათ მშობლებს ქართულ თოვლის ნაირფერად განათებულ პაპასთან ერთად მთაწმინდის ბომბორას პარკიდან მანქანაზე შემოდგმული, განათებული ეტლით სანტა კლაუსი ეწვია თავისი სადღესასწაულო ზღაპრული ამალით. მასპინძლებმაც და სტუმრებმაც ერთად იმხიარულეს, იმღერეს და იცეკვეს, ბოლოს კი პატარები საახალწლო ნობათებით დასაჩუქრდნენ.

ყოველივე, რა თქმა უნდა, სასიკეთო და გულის გამხარებელია, რომ არა ერთი, ცოტა არ იყოს, უსიამო გარემოება: საჩუქრების დარიგებისას ამ სადღესასწაულო წარმოდგენისთვის ერთობ უხერხული ზედახორა გაიმართა, რამაც ლამაზ შთაბეჭდილებას ერთგვარად ჩრდილი მიაყენა.

ამას ყოველნაირი ნიშნისმოგების გარეშე ვეუბნებით მშვენიერი მხიარულების მომწყობებს, მიზანი და სურვილი მხოლოდ ის გვაქვს, რომ შემდგომ ასეთ უხერხულობას ყველანი ავაცილოთ — სტუმარიც და მასპინძელიც.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

და გახსოვდეთ — არავითარი აგრესია! ურტყი და გაიღიმე.

* * *

— ალო, პეტკა ხარ? მაპატიე ასეთი გვიანი ზარისთვის. ჩემი ცოლი რატომღაც დიდი ხანია არ ჩანს. შენთან ხომ არ შემოსულა შემთხვევით?

— მოიცადე, ივან, ახლავე ვკითხავ. დაშა, შენ ჩემთან შემთხვევით შემოხვედი თუ გამიზნულად?

* * *

გინდა იცოდე, რას ვფიქრობ შენზე? მაშინ მიყიდე ერთი ლიტრი არაყი, მოხერხებულად დაჯექი და მისმინე...

* * *

წლეულს ისევ არ ვყოფილვარ პარიზში. ამბობენ, მუდმივობა რესპექტაბელურობის ნიშანია.

* * *

— გიყვარვარ?

— არა. შენ?

— არც მე. ნახე, როგორ ვგავართ ერთმანეთს. მოდი, შევხვდეთ!

* * *

— ეძიმო, ჩემი პრობლემა ის არის, რომ არ შემიძლია ახალი მამაკაცის შეყვარება მანამ, სანამ წინა არ ჩაძაღლდება.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვახელებთან

ბოკერიას „ნაღდი ფულის გატანის გამო“ პროკურატურაში დაიბარებენ?!

პროკურატურის ახალი საკბილო ცნობილია, უშიშროების საბჭოს მდივანს, სავარაუდოდ, პროკურატურაში დაიბარებენ, თუ ამის მიზანშეწონილობას კბილაშვილის უწყება საჭიროდ ჩათვლის. თავად ივანიშვილმა უკვე გაახმაურა, რომ პროკურატურა უშიშროების საბჭოს მასალებს სწავლობს.

„ვერსია“

როგორ შევა ისტორიაში 2012 წელი?

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, 2012 გარდამტეხი წელი იყო. დიდხანს არსებობდა ეჭვი, მოახერხებდა თუ არა ივანიშვილი რთული ამოცანის შესრულებას, ზოგი მისი პასიურობის გამო უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა. ის კი, არ ჩქარობდა და, როგორც აღმოჩნდა, სწორიც იყო. ორმოცწუთიანი მიტინგებისა და შეხვედრების რეჟიმი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს „ნოკაუტში“ აგდებდა, ქართველებმა ხომ რამდენიმედღიანი თუ თვიანი მიტინგები ვიცით, მაგრამ ხალხმა ივანიშვილს მხარი იმაშიც აუბა, რომ საქმე მიტინგებით არ კეთდება, ანუ ივანიშვილის ხალხთან შეხვედრებიც ახალი სტილი იყო.

„ქართული სიტყვა“

„კალაძე ენერგეტიკაში ნამდვილად არ არის ავტორიტეტი, რომ მის სიტყვას ვენდოთ“

— აცხადებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, — დენის ტარიფის 3 თეთრით შემცირება არ პასუხობს იმ მოლოდინებს, რომელსაც საზოგადოება ისმენდა იმასთან დაკავშირებით, რომ კორუფციული მილიონები მიედინებოდა ნაციონალურ მოძრაობაში... მე ვურჩევდი ხელისუფლებას, წარმოადგინონ ენერგეტიკის ტარიფის სტრუქტურა, რომ ჩვენ ვიცოდეთ რისგან შედგება ეს 17 თეთრი, ახლა უკვე 14 თეთრი. თუ ისინი არ გააკეთებენ ამას, ჩვენი პარტია გეგმავს, რომ იანვრის თვეში გამოაქვეყნოს, როგორც ელექტროენერგიის, ისე ბუნებრივი აირის ტარიფი.

„ახალი თაობა“

◎ მადლობა

ცხოვრების ხალისი დამიბრუნეს

ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ, მომცეთ საშუალება, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით გულწრფელი მადლობა მოვახსენო თავისი საქმის რამდენიმე პროფესიონალსა და კეთილშობილ ადამიანს, რომელთაგან ერთობ დავალებული ვარ.

კარგა ხანს ვიტანჯებოდი კანის დაავადებით. მირჩიეს, გამოსაკვლევად მივსულიყავი ექიმ-დერმატოლოგთან, პროფესორ **ნატა კილაძესთან**. ქალბატონმა ნატამ გულისყურით გამსინჯა, და მკურნალობა ვენსნეულებათა და კანის დაავადებათა ცენტრში ფიტოთერაპიული დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ქალბატონ **ნონა ბაგდადიშვილთან** მირჩია.

სწორედ აქ ვიგრძენი, თუ რა ძალა აქვს მკურნალის არა მარტო პროფესიონალიზმს, არამედ მის გულისხმიერებასა და პაციენტებთან დამოკიდებულებას. ქალბატონი **ნონა** და მისი და **მაია ბაგდადიშვილი,** რომელიც ამავე დეპარტამენტში ასისტენტად მუშაობს, მართლაც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. ისინი პაციენტებისთვის მარტო მკურნალები კი არა, მეგობრებიც ხდებიან და მეტად სასარგებლო რჩევებსაც აძლევენ მათ. ამას ის უამრავი პაციენტიც უთუოდ დაადასტურებს, რომელთაც მათი მზრუნველობა და გულისხმიერება უგრძვნიათ.

მინდა, დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო ბრწყინვალე ქალბატონებს **ნატა კილაძეს, ნონა და მაია ბაგდადიშვილებს,** ვუსურვო ჯანმრთელობა და პროფესიონალური წინსვლა, რათა კიდევ მრავალი ადამიანისთვის ეჩუქებინოთ სიხარული. მათ მე ცხოვრების ხალისი დამიბრუნეს.

პატივისცემით
შორენა გვილია

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com